# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 6 მარტი, 2010 წელი.

№42 (6408)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

# გილოცავთ თქვენს დღეს, ძვირფასო ქალებო!



მერაბ ბერძენიშვილი: კიდევაც დაიზრდებიან!..

## სანამ დრო არის, ეფერეთ მშობელს!

მე აღსარება მსურს გითხრათ ერთი,
ნეტავი ახლა მისმენდეს ღმერთი,
მაქვს უამრავი დანაშაული,
მინდა თუ არა, გვერდს ვერ ავუვლი.

უპირველესად ცოდვა მაქვს დედის,
აი, მიზეზი ცრემლის და ხვედის,
ვერ მოვეფერე, როცა დაბერდა,
როცა მიცდიდა ღია სარკმელთან.

გათენებამდე ტანჯვით მელოდა,
ლოდინი გახდა მისი ხელობა,
ლოდინი გახდა დედის ხელობა.
მე სხვაგან ლაღი და სიტყვაუხვი,
დედასთან ვიყავ მუნჯი და უტყვი.

იშიმშილა და იტანჯა ჩემთვის,
გასამართლებლად აბა რა მეთქმის,
მაგრამ მე მაშინ ვერ ვგრძნობდი ამას,
ამასვე ვეტყვი დაღუპულ მამას.

მონანიება შორი გზით მოდის,
ყველაფრისათვის მოვიხდი ბოდიშს,
მაგრამ ვაი რომ არის გვიანი,
რა მწარედ ცდება ადამიანი...
და ამიტომაც მოგმართავთ ყოველს,
სანამ დრო არის, ეფერეთ მშობელს!

მაგრამ თუ უკვე ცოცხალი არ გყავთ,
იქ რომ დაადგეთ სხივი ნათელი,
ნუ დაიზარებთ, დედ-მამისათვის,
დაანთეთ თუნდაც ერთი სანთელი.

— გავმდიდრდებით უფრო მეტადო!
— ვენდოთ პატრიარქს თუნდაც ამაში.
დაგვიბრუნებენ ასჯერ მეტ სითბოს
შვილები, როცა შევალთ ასაკში.

მერაბ ბერაძე



ირაკლი ალასანია:

ერთიანი კანდიდატის გამოვლენას ერთი თვე ვერ დაველოდებოდით

3

„თეთრები“ საქართველოს მოსახლეობას პრეზიდენტის იმპიჩმენტისაკენ მოუწოდებენ

2





მაგდა ანიკაშვილი:

უნდა დასრულდეს ჯანდაცვის სფეროში ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე გაუმართლებელი ექსპერიმენტები!

3

ხელისუფლების აქტივისტები მოსახლეობას არჩევნების ბოიკოტისაკენ მოუწოდებენ

2

## იოსებ ბესარიონის ძე სტალინი: ოჯახის გენეალოგია

7



6

## დიდი დოდო ალექსიძე

## ცხიერი მენეჯმენტი

„პოპული“ და „გუდვილი“ „გულხელგაშლით“ გვმასპინძლობენ

4

№ 42. შაბათი, 6 მარტი, 2010 წელი.

ხმა ქვეყნის გასაგონად!

# ღირსების ულტიმატუმის არც ერთი მოთხოვნა არ შესრულდა!

**აი, პოზიცია, რომელიც გუშინ, 5 მარტს პრეზიდენტის რეზიდენციასთან „თეთრებმა“ განაცხადეს:**

**●პრეზიდენტმა არ შეასრულა „ღირსების ულტიმატუმის“ არც ერთი მოთხოვნა, ანუ საკითხები, რომელთა გადაწყვეტა მისი კონსტიტუციური მოვალეობაა...**

**●პრეზიდენტი შეუშინდა ხალხისთვის სასიცოცხლო საკითხებზე პირდაპირ სატელევიზიო დებატებს...**

**●პრეზიდენტმა ყოველივე ამით კონსტიტუციის გარეთ დააყენა საკუთარი თავი...**

**● დადგა დრო, პოლიტიკურმა პარტიებმა საზოგადოებასთან დათათბირებით, დავიწყოთ კონსულტაციები პრეზიდენტისათვის საყოველთაო რეფერენდუმის წესით იმპიჩმენტის გამოცხადებაზე.**

ზუსტად 100 დღის წინ, 23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ 6 წლისთავზე, „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებას წარედგინა „თეთრების“ მიერ მეცნიერთა მონაწილეობით შემუშავებული და პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების ღვაწლმოსილ წარმომადგენელთა მიერ მხარდაჭერილი „ღირსების ულტიმატუმი“ ხალხისთვის სასიცოცხლო 25 საკითხით.

პრეზიდენტმა, რომელიც ამ საკითხებს ელემენტარულს უწოდებს 1994 წლიდან, ანუ მისი მოქკავშირელობიდან — არც „მოქკავშირის“ თავმჯდომარეობის, არც მოქკავშირელი მინისტრობის, არც თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს და არც მისი პრეზიდენტობის 6 წლის განმავლობაში არ გადაწყვიტა ეს „ელემენტარული“ საკითხები. სამაგიეროდ:

## „თეთრები“ საქართველოს მოსახლეობას პრეზიდენტ სააკაშვილის იმპიჩმენტისკენ მოუწოდებენ

**●მისი პრეზიდენტობის დროს მდიდარი კიდევ უფრო მდიდარი გახდა და ღარიბი კიდევ უფრო გაღარიბდა...**

**● გაიყიდა ყველაფერი: მიწაც, მიწაში და მიწის ზემოთ არსებულიც...**

**●განადგურდა განათლება, კატასტროფულად გაიზარდა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის ღირებულება და მოკლე პერიოდში მხოლოდ მდიდართა ოჯახებისთვის გახდება შესაძლებელი. ფუნქცია დაკარგა მეცნიერებამ, აგდებული დამოკიდებულებაა კულტურისადმი, დაუცველია საკუთრება, მონოპოლიზებულია სატელევიზიო სივრცე, კატასტროფულია დემოგრაფიული მდგომარეობა, მოიშალა ჯანმრთელობის სისტემა და მკურნალობა ფუფუნებად იქცა.**

**●„მოქკავშირი-ნაციონალებმა“ ჯართად აქციეს სამუშაო ადგილები... ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს ეკონომიკა, სოფელი საკონცენტრაციო ბანაკს ემსგავსება, ქვეყნის ბიუჯეტის თითქმის 90 პროცენტი, ეს არის მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფული ქვეყანა უცხოეთიდან შემოსული პროდუქციის ბაზრად იქცა.**

**●ქვეყანამ „მოქკავშირის“ დროს დაკარგულ ტერიტორიებს ახალი მიამატა... დევნილებს მათხოვრული დახმარება შესთავაზა, მაშინ როცა, გაურკვევლად იხარჯება უცხოეთიდან მიღებული დახმარებები, როცა უცხოეთიდან მიღებული თანხებით ქვეყანაში ფეშენებელური სახელისუფლებო სასახლეები აშენდა...**

**●გაუხსნელია უამრავი გახმაურებული მკვლელობა, პრეზიდენტმა ისიც დაადასტურა, რომ გასცა ოჯახის ლიკვიდაციის დავალება... პრეზიდენტი თანამდებობებზე ინარჩუნებს მკვლელობათა ორგანიზატორებს, აწინაურებს შემსრულებლებს.**

**●ამკვიდრებენ აზრს, რომ ებრძვიან კორუფციას, ქურდებს, მაშინ როდესაც ასეთი მასშტაბის და ასეთი სახელისუფლებო კორუფცია ძნელად წარმოსადგენია... ხელისუფლება ბიზნესს ჩაუჯდა წილებში, ანუ ქურდული მენტალიტეტი სახელისუფლებო კარზე დამკვიდრდა.**

**● ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ორგანო — პარლამენტი — პრეზიდენტის, მისი ოჯახის მეგობარ ბიზნესმენთა ბიზნეს-კლუბად იქცა...**

**● ერთი მილიონი პენსიონერის პენსია წლის განმავლობაში იმდენივეა, რამდენიც სახელისუფლებო აპარატის შენახვა ჯდება ქვეყანაში...**

**●ქვეყანა იმართება პიარ-ტექნოლოგიებით, მონოპოლიზებულია სატელევიზიო სივრცე. ქვეყანა ცხოვრობს სატელევიზიო კეთილდღეობით, წარმატებით ინერგება გასული საუკუნის 20-იანი წლების მზაკვრული დასმენების ინსტიტუტი... დაპირებული დემოკრატიის და ნიჭის ძალაუფლების ნაცვლად ქვეყანაში ფულის უფლება დაამკვიდრა.**

**● ქვეყანას მართავს ანტიქართული ცნობიერების „თავისუფლების ინსტიტუტი“.**

**●წარმოუდგენელი სისწრაფით ეცემა ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი.**

**ხალხმა უნდა განსაჯოს შეიძლება თუ არა ასეთი კაცი იყოს საქართველოს პრეზიდენტი.**

ჩვენ ვთვლით, რომ საქართველოს განახლებული ეროვნული მოძრაობისა და დიდი ქართული ერთობის გარეშე არა აქვს მომავალი.

„ღირსების ულტიმატუმში“ დასმული საკითხების გადაუწყვეტლობით პრეზიდენტმა საკუთარი თავი კონსტიტუციის გარეთ დააყენა... ყოველივე ამის გამო ეს ხელისუფლება არა თუ უნდა გასამართლდეს, არამედ პოლიტიკურმა პარტიებმა ორი თვის განმავლობაში მდგომარეობის სერიოზული გაანალიზების შემდგომ უნდა დავიწყოთ პრეზიდენტის **საყოველთაო იმპიჩმენტის** პროცედურა... იმის გათვალისწინებით, რომ დღევანდელი ხელისუფლება პრეზიდენტის ჩათვლით არჩევნების გაყალბებით არის მოსული, ანუ ქვეყანაში არ არსებობს წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტები, იმპიჩმენტის საკითხი უნდა გადაწყვიტოს საყოველთაო რეფერენდუმმა, ანუ პირდაპირმა დემოკრატიამ, როგორც ეს საერთაშორისო კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

ჩვენ ვიწყებთ კონსულტაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიკურ პარტიებთან.

**ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“)**

მოამზადა
**თაკო შაიშმელაშვილმა**

პოზიცია

**დიდი მცდელობის მიუხედავად, ოპოზიციური ერთობა ჯერ კიდევ ვერ შედგა, არჩევნები კი კარსაა მომდგარი, ამიტომ უკვე ყველა საკუთარ სტრატეგიას ირჩევს და ცდილობს დამოუკიდებლად გავიდეს ფონს, რასაც არჩევნებისადმი და, საერთოდ პოლიტიკური პროცესებისადმი მოსახლეობის სამართლიანად გულგრილი დამოკიდებულება ნამდვილად ხელს უშლის.**

ოპოზიციურ პარტიებში ფიქრობენ, რომ ამგვარი რამ შეგნებულად ხდება ხელისუფლების მხრიდან, რათა მათ უკეთ მოახერხონ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სათავისოდ შემობრუნება.

# არჩევნების ბოიკოტი?!



— ბოლო დროს ზოგიერთი ოპოზიციური პარტია და საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად აკეთებენ განცხადებებს, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობა უპერსპექტივოა არა მარტო ოპოზიციური პარტიების, არამედ ამომრჩევლებისთვისაც. ასეთი განცხადებებით კიდევ უფრო იზრდება საზოგადოების ნიჰილიზმი ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესისადმი, როგორიც არჩევნებია, რაც ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს, — აცხადებენ **მწვანეთა პარტიაში.**

გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა გია გაჩეჩილაძემ მედიას მიაწოდა ინფორმაცია, რომ თითქოს ხელისუფლების დაქირავებული აქტივისტები, სხვადასხვა შეღავათისა და პატიმრების ციხეებიდან გათავისუფლების სანაცვლოდ, მოსახლეობას სთავაზობენ არა „ნაციონალების“ კანდიდატების არჩევნებში მხარდაჭერას, არამედ არჩევნებში მონაწილეობაზე... საერთოდ, უარის თქმას.

**გია გაჩეჩილაძე:** ასეთი ქმედება აშკარად მიანიშნებს, რომ ნაციონალურ მოძრაობას თბილისში სერიოზული პრობლემები აქვს. მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, არჩევნების დღეს რაც შეიძლება ნაკლები რეალური ამომრჩევლის მისვლა საარჩევნო უბანზე და მცირე შანსის მიუხედავად მაღალი პროცენტის მიღება... ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ რაც უფრო მეტად იაქტიურებს საზოგადოება, ოპოზიციას გამარჯვების უფრო დიდი შესაძლებლობა ექნება.

მწვანეთა პარტიის წევრები გაოცებული არიან კიდევ ერთი გარემოებით, კერძოდ, არჩევნების ჩატარების თარიღის დადგენამდე ყველა პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია ერთხმად აცხადებდა, რომ ოპოზიციამ თბილისში ბოლო წლების მანძილზე ჩატარებული ყველა არჩევნები მოიგო, ტოტალური გაყალბებების მიუხედავად („კარუსელები“, პატიმრების მასობრივი გათავისუფლება, ამომრჩეველთა გაყალბებული ხმები და ა. შ.), ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისში პირწმინდად წააგო 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები (თბილისში ოფიციალურად რეგისტრირებული 976 886 ამომრჩევლიდან სახელისუფლებო პარტიამ მხოლოდ 185 075 ხმა მიიღო). წლევანდელ არჩევნებში მონაწილეობას კი მათი უმრავლესობა მაინც უშედეგოდ მიიჩნევს.

— ჩვენ პატივს ვცემთ ყველა პარტიას, მათ შორის ბოიკოტის მომხრეთა პოზიციას, თუმცა არსებული რეალობიდან გამომდინარე, არ გვესმის მათი მოწოდებების შინაარსი — საზოგადოება არჩევნებზე არ მივიდეს. ეს ხომ ნებით თუ უნებლიედ სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვებას შეუწყობს ხელს, — აცხადებს **გია გაჩეჩილაძე.**

ყოველივე აქედან გამომდინარე, მწვანეთა პარტია მიმართავს საქართველოში მოქმედ რეალურ ოპოზიციურ სპექტრს, განსაკუთრებით, ბოიკოტის მომხრეებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს: **გთხოვთ, ხელს ნუ შეგვიშლით, რადგან ძალიან კარგად ვიცით, როგორ მივაღწიოთ შედეგს ამ არჩევნებზე. თავი შეიკავეთ მოწოდებისგან — მოსახლეობამ არ მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. პირიქით, ერთად ვიმოქმედოთ ამომრჩევლის გააქტიურებისთვის.**

რაც შეეხება ჯერ კიდევ აქტუალურ პრაიმერის ჩატარების იდეას, მწვანეთა პარტია მსგავს „ღონისძიებებში“ მონაწილეობას არ აპირებს. მათ არჩევნებზე, ალბათ, საკუთარი მეროების კანდიდატი ეყოლებათ.

**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

## ზვიად ძიძიგური მოსკოვში ჩასვლას აპირებს

**კონსერვატორული** პარტიის თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა გააკეთა განცხადება და ოფიციალურად დაადასტურა, რომ იგი მოსკოვში ჩასვლას აპირებს. ვიზიტის კონკრეტული თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუმცა როგორც თავად ზვიად ძიძიგური განმარტავს შეხვედრა უახლოეს თვეებში შედგება.

მისივე ინფორმაციით, ვიზიტთან დაკავშირებული შესაბამისი კონსულტაციები უკვე დაწყებულია.

მოსკოვში განსახილველ თემებზე საუბრისას ძიძიგური აცხადებს, რომ დღის წესრიგში დადგება ნებისმიერი თემა, რომელიც რუსეთ-საქართველოს გართულებულ ურთიერთობებს აღადგენს.

## მოსკოვს ლეიბორისტებიც ეწვევიან

**ლეიბორისტული** პარტიის წარმომადგენლებმა მოსკოვში ჩასვლისა და რუსეთის ხელსუფლებასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს. ლეიბორისტებმა მოსკოვში წერილი უკვე გააგზავნეს და მედვედევის ხელისუფლებას შეხვედრა სთხოვეს. პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, საქართველოს დეოკუპაციის გასაღები მოსკოვშია, თუმცა მოსკოვში ვიზიტის წინ პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი პირობას დებს, რომ შეხვედრაზე ცხინვალისა და სოხუმის შესახებ აუცილებლად ისაუბრებს.



— ჩვენ ვართ მზად დავიწყოთ საუბარი რუსეთთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე. ჯერჯერობით ასეთი მოწვევა არ მიგვიღია. ჩვენ არ გამოვრიცხავთ, თუ მივიღეთ ასეთი მოწვევა, გავემგზავროთ. ჩვენ ძირითადად გვინდა საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატებთან დავიწყოთ ამ საკითხზე საუბარი. აბა რა ვქნათ, არ დავილაპარაკოთ თუნდაც ოკუპანტთან და ასე უნდა გაგრძელდეს დაუსრულებლად?, — აცხადებს სოსო შატბერაშვილი.

ჯი-ეიჩ-ენი

ვიზიტი

## საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან

**რუსეთის ხელისუფლების წევრებთან გამართული შეხვედრების შემდეგ „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ პირველი კომენტარი გუშინ მოსკოვში გააკეთა.**

ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ იგი მოსკოვში საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის ინტერესების დასაცავადაა ჩასული და არა ხმამაღალი განცხადებების საკეთებლად. ამას გარდა, მისივე თქმით, არ არსებობს თემა, რომელზეც რუსეთსა და საქართველოს მოლაპარაკება და გამოსავლის მოძებნა არ შეეძლოთ.

— შეცდომა არის მხოლოდ ის, რომ როდესაც შენ იქცევი მხოლოდ ისე, რომ კარგავ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტს და ეს შეცდომა კი არა დანაშაულია, რაც გააკეთა ჩვენმა პრეზიდენტმა. შეცდომა არის ის, როდესაც ხმამაღალი განცხადებებით და ანტირუსული ისტერიით, რეალურად აკეთებ რუსულ საქმეს და კეტავ ყველა გზას იმისათვის, რომ რეალურად მოლაპარაკებების გზით მოაგვარო ის პრობლემები, რომლებიც შენს ქვეყანას აწუხებს. ჩემი ამოცანა არ იყო აქ ხმამაღალი განცხადებების კეთება და გულზე მჯიღის ცემა, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ოპოზიცია

# ირაკლი ალასანია: ერთიანი კანდიდატის გამოვლენას ერთი თვე ვერ დაველოდებოდით



**ერთი კვირის წინათაც ყველაფერი თითქმის ისე იყო, როგორც 4 მარტს, სულ რამდენიმე შტრიხის განსხვავებით. ირაკლი ალასანიას კვლავ რამდენიმეათასიანი აუდიტორია ელოდა, ოღონდ ამჯერად არა ჭადრაკის, არამედ კალათბურთის სასახლეში, მზად იყო კვარცხლბეკი, მიკროფონი, „ბორჯომი“, ჟურნალისტთა კორპუსი, „ქართული აკადემია“... ხალხი.**

...შეიცვლება თუ არა ირაკლის მაშინდელი პოზიცია, როცა ის არასაპარლამენტო ოპოზიციის გვერდით იდგა, ალიანსის ჯგუფის გარეშე კითხვას შეხვედრის დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ პასუხი გაეცა – თითქმის არა, თუმცა...

ეს იყო ირაკლი ალასანიას შეხვედრა საზოგადოებასთან. ლონისძიებას, როგორც შეხვედრის ორგანიზატორი, ნუკრი ქანთარია წარმართავდა. – ეს არის საქმიანი შეხვედრა. საზოგადოება ელოდება ლიდერს. არჩევნებისთვის რომ განვეწყოთ, საჭიროა ერთი კანდიდატი. ვინაიდან პარტიები ვერ თანხმდებიან, ჩვენ – საზოგადოება შევთანხმდეთ. ლიდერი ეს არის თავგანწირვა და არა ანგარება, – აღნიშნა მან.

იქ დამსწრე საზოგადოებაც შეთანხმდა. პრინციპში, არავინ მოსულა ისეთი, რომელსაც ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ ოპოზიციის ლიდერი ალასანია უნდა იყოს და არა ვინმე სხვა. მეროზის კანდიდატის ტექსტიც გაზუთხულივით ისეთივე იყო, როგორც არაერთხელ – ხმის ტემბრი, ინტონაცია, პოლიტიკური ლოგიკა: „პოლიტიკურმა სპექტრმა გამოიღვიძა და დაინახა ახალი შესაძლებლობები. ბევრს იმედი გაუჩნდა, ბევრიც გაბრაზდა. მთავარია, რომ საზოგადოებამ შანსი დაინახა. მოძრაობას იმედი მოჰყვა“, – არწმუნებდა ალასანია დარბაზს, თუმცა ამ სიტყვებისა არ სჯეროდა ბევრს, იმიტომ, რომ პირიქით მოხდა. ალასანიას გაუთავებელმა გადაადგილებებმა გააქრო იმედი იმისა, რომ ოპოზიცია ოდესმე მაინც გაერთიანდება.

მაგრამ ასე სულაც არ მსჯელობს მეროზის კანდიდატი: „რისთვის მივდივართ არჩევნებზე? მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის! ეს არ არის ჩვეულებრივი მერის არჩევნები, არამედ ეს არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დრო. პოლიტიკაში მოკავშირეები და პარტნიორები უნდა ვეძებოთ და არა – მტრები. სამწუხაროდ, მედიის საშუალებებით ჩემი კოლეგებისგან გვესმის სიცრუე, სიყალბე, მაბრალებენ იმას, რაც არასოდეს გამიკეთებია... ჩემი ნაბიჯით მე შევძელი გამეხსნა სივრცე მოლაპარაკებისთვის, ზოგმა მოიწონა, ზოგმა მისაყვედურა, მე კი იმ აზრის სხვადასხვაობამ დამანახა, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ამბიციების ჩაცხრობის უნარი აქვთ. ჩემი გადაწყვეტილება ასეთია, ყველა პოლიტიკურ ძალასთან ყველანაირი პოლიტიკური შეთანხმება“.

ვრცელი მონოლოგის მიუხედავად, ალასანიას მაინც მოუწია დაკონკრეტება და ახსნა იმისა, რაც ბოლოს გააკეთა. რას ფიქრობს ის ნოღაიდელზე და რა ემუქრება ალიანსს? „ეს იყო ნაბიჯი ერთობისკენ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. ნოღაიდელს იდეოლოგიურად და ღირებულებების თვალსაზრისით ვერ ვეთანხმებით, მაგრამ არჩევნებში ერთობისთვის გამოვედი. იმ ერთობას კი, რომელიც უკვე არსებობს, არ მეგონა, თუ რამე დაემუქრებოდა!“ (ალიანსი იგულისხმაძ.

ალასანიამ გარკვევით და ცხადად თქვა, რომ კიდევ ერთი თვე ვერ დაველოდებით ერთიანი კანდიდატის გამოვლენის პროცესსო, ეს იმას ნიშნავს, რომ ალიანსის კანდიდატი უცვლელია. თუ ოპოზიციას სურს გაერთიანება, სწორედ ალასანიას გარშემო უნდა გაერთიანდეს! სხვა არაფერი იგულისხმება მის სიტყვებში. კარი ღიაა თანამონაწილეებისა და მსურველებისთვისო. თბილისის მეროზის კანდიდატს პასუხის გაცემა მოუწია ურბანულ დაგეგმარებაზე, დასაქმებაზე, პოლიტპატიმრებზე, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზეც კი, მაგრამ მის პასუხებში არ იყო ის კონკრეტიკა, ის ლექსიკა და ლოგიკა, რითაც ქალაქის თავი უნდა დაელაპარაკოს თავის ამომრჩეველს.

მის სიტყვებში ზედმეტია სიფრთხილე, ხშირად ორაზროვანია, უნდა წაიკითხო ქვეტექსტი, რაც დიპლომატისთვის ნამდვილად ღირებული თვისებაა, მაგრამ შვენის თუ არა ქალაქის მერს მსგავსი ლექსიკა, საეჭვოა?!

ასე თუ ისე, ჩვენი ეჭვების მიუხედავად, ირაკლი ალასანიამ საარჩევნო მარათონი დაიწყო, როგორც თვითონ ეცადა, გულახდილად, მაგრამ სწორედ ამ მარათონის დასაწყისში დაკარგა რეიტინგი და თუ ერთი თვის წინათ მასზე უპიროზოდ ამბობდნენ, რომ უალტერნატივოა, ახლა ამ სიტყვებისა ძველებურად აღარავის სჯერა.

...და არც ირაკლი იყო მაინცდამაინც დამაჯერებელი!

**თეა მოსია**

◎ პრესკონფერენცია

## ქართ მეეზოვეებს ჩაგრავენ?

**გუშინ, პროფესიული კავშირების გაერთიანების ცენტრალურ ოფისში ეროვნებით ქურთი მეეზოვეების დისკრიმინაციისა და შრომითი უფლებების დარღვევის საკითხებზე პრესკონფერენცია გაიმართა.**

**პრესკონფერენცია მომსახურების, კომუნალური და ბანკების პროფესიული კავშირის თავმჯდომარემ მალხაზ ღონიაშვილმა გამართა.**

**მალხაზ ღონიაშვილი: ოქტომბერში ეს ხალხი საკუთარი სამუშაო ადგილიდან გაანთავისუფლეს. შეუწყვიტეს წლის ბოლომდე დადებული კონტრაქტი. 3 წლის განმავლობაში შვებულების კუთვნილი თანხა არ აულიათ. ამიტომ სასამართლოში საქმის წარმოება პროფკავშირების სარჩელის საფუძველზე დაიწყო, თუმცა საქალაქო სასამართლომ გაერთიანების მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. ჩვენ უკვე სააპელაციო სასამართლოში ვაპირებთ გასაჩივრებას, რათა არ მოხდეს ეროვნებით ქურთი ადამიანების და არა მარტო მათი დისკრიმინაცია.**

**ეკა მაშიანოვა**



◎ „შავსათვალიანი“ ოპოზიცია

# უნდა დასრულდეს ჯანდაცვის სფეროში ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე გაუმართლებელი ექსპერიმენტები!



**პარლამენტარ მაგდა ანიკაშვილის გამოსვლა პარლამენტში 2010 წლის 26 თებერვალს**

**დიდი ხანია ქრისტიან-დემოკრატები ვსაუბრობთ ჩვენი საზოგადოების ყველაზე ღატაკი ნაწილის პრობლემებზე, მაგრამ მთავრობის მხრიდან რეაგირება არ არის. უცნაურია, მაგრამ ხშირად ჩვენთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლებიც აკრიტიკებენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის დახმარების პროგრამას, მაგრამ ვითარება მაინც არ უმჯობესდება. თითქმის მესამე წელია დგას პროგრამის კრიტერიუმების გადახედვის საკითხი. უამრავი ულატაკესი ოჯახი უსამართლოდ ვერ იღებს დახმარებას, თითქმის ყოველდღე მაყურებელი ნახულობს რეპორტაჟებს ამ ოჯახების შესახებ, მაგრამ არაფერი იცვლება. ქრისტიან-დემოკრატების დიდი ძალისხმევის შედეგად, უმწეოებს უკვე აღარ მოუწევთ ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის თვეობით ლოდინი, მაგრამ შეფასების კრიტერიუმები კვლავ უსამართლოა. მეტიც, ბოლო მონაცემების გაანალიზების შედეგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელოვნურად მიმდინარეობს სიების შემცირება. ქრისტიან-დემოკრატებმა დავაფიქსირეთ უამრავი შემთხვევა, როდესაც მოხდა 57 000 ქულის მქონე, ანუ ზღვარზე მყოფი ოჯახების რიგგარეშე გადამოწმება, რის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ ყოფა-ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, მათ 58 000 ქულა დაუწერეს, შესაბამისად ბენეფიციართა სიიდან ამოაგდეს. 9-შვილიან ოჯახს მოძღვარმა შავ-თეთრი, ძველისძველი ტელევიზორი აჩუქა, რაც ამ ოჯახისთვის დახმარების შეწყვეტის მიზეზი გახდა. კიდევ ერთხელ, ქრისტიან-დემოკრატები მოვითხოვთ: გადახედეთ ქულების მინიჭების კრიტერიუმებს, რათა სახელმწიფო დაეხმაროს იმას, ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება.**

**თუმცა, საქართველოში მხოლოდ უმწეოები არ ცხოვრობენ, უფრო სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს თითქმის მთელი ქვეყანა უმწეოა. არავითარი მხარდაჭერა ახლად შექმნილ ოჯახებს, არავითარი დახმარება ახალგაზრდა და მარტოხელა დედებს, არც ერთი შეღავათი მრავალშვილიანებს – ეს არის დღევანდელი ხელისუფლების დემოგრაფიული პოლიტიკა, რომელიც საკანონმდებლო დონეზე მხოლოდ ერთი ჩანაწერით შემოიფარგლება – ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 7 არასრულწლოვანი ბავშვი, გადაეცეთ დახმარება თვეში 35 ლარის ოდენობით. ამ ერთი ჩანაწერით უპირისპირდება მთავრობა უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებას. პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვეყნის მოსახლეობა ერთი მილიონი ადამიანით შემცირდა და 30 წელიწადში კიდევ ერთი მილიონით დაიკლებს. აუცილებელია გააზრებული და გრძელვადიანი დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის არსებობა, აუცილებელია, კომპლექსური სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ჯანდაცვის, განათლების, ბინათმოწყობის და დასაქმების საკითხებში ოჯახებისთვის მთელ რიგ შეღავათებს გაითვალისწინებს.**

**თუმცა, დასაწყისისთვის მოგიწოდებთ გაიზიაროთ ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივა, რომელიც მშობიარობის დაფინანსებას უკავშირდება. მშობიარობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სამედიცინო მომსახურებაა და ოჯახებს, განსაკუთრებით რეგიონებში, ძალიან უჭირთ საჭირო თანხის შეგროვება. სწორედ ამიტომ ჩვენ გთავაზობთ, ჯანმრთელობის იაფი დაზღვევის პაკეტს დაემატოს მშობიარობის კომპონენტი. ეს ცვლილება ერთის მხრივ იქნება დიდი შეღავათი მომავალი მშობლებისთვის და ამავდროულად შეასრულებს იაფი დაზღვევის წარუმატებელი პროექტის პოპულარიზაციის ფუნქციას და უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება სადაზღვევო სისტემაში.**

**ქრისტიან-დემოკრატებს ასევე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ცვლილებების შეტანა ბავშვთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამაში. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ საქართველოში ჩვილთა სიკვდილიანობის საკმაოდ მაღალ ინდექსს – 23, მაშინ როდესაც ევროკავშირის ქვეყნებში ის 5-ს არ აღემატება. სახელმწიფო სამ წლამდე ბავშვთა მკურნალობის ხარჯებს ფარავს, ისიც ნაწილობრივ. ეს ასაკობრივი ბარიერი უსამართლო და სამედიცინო თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია. გაუგებარია რა მოტივით მკურნალობს მთავრობა უფასოდ სამი წლის ბავშვს და უარს ეუბნება ოთხი წლისას, არავითარი სამედიცინო მოტივაცია აქ არ შეიძლება იყოს. საჭიროა ზღვარი ავწიოთ იმ ასაკამდე, როდესაც სხვადასხვა დაავადების გართულების რისკი მაღალია. ასეთი ოპტიმალური ასაკი სამედიცინო თვალსაზრისით გახლავთ 7 წელი, როდესაც ორგანიზმი უკვე ადაპტირებულია გარემოსთან და ბავშვი ჩართულია სასწავლო პროცესში. შესაბამისად ქრისტიან-დემოკრატები გამოვდივართ ინიციატივით, რომ 7 წლამდე ბავშვების მკურნალობა საქართველოში უფასო იყოს.**

**ყველას, ვინც დღეს პროგრესსა და წარმატებაზე საუბრობს, მინდა შევახსენო, რომ საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ათობით ათასი სახლში ჩაკეტილი, საზოგადოებისგან იზოლირებული, ჯანდაცვასა და განათლებას მოკლებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ინვალიდები დღეს ვერ მკურნალობენ, ვერ სწავლობენ, სახლიდან ვერ გამოდიან. არც ქუჩები, არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი და არც სახელმწიფო დაწესებულებები არ შეესაბამება იმ სტანდარტებს, რომ მათ დამოუკიდებლად გადაადგილება შეძლონ. 2009 წლის 1 ნოემბრამდე მთავრობას უნდა წარმოედგინა საკანონმდებლო ინიციატივათა მთელი პაკეტი, რომელიც ინვალიდთა მდგომარეობას გააუმჯობესებდა. გასულია ოთხი თვე და არც ერთი წინადადება არ შემოსულა. ქრისტიან-დემოკრატების დიდი ბრძოლის შედეგად პირველი ჯგუფის ინვალიდების პენსია გაუთანაბრდა ასაკის საფუძველზე დანიშნულ პენსიას, მეორე ჯგუფი დარჩა სრულიად უსამართლო და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში. მაშინ როდესაც ინვალიდებს სჭირდებათ გაცილებით მეტი იმისათვის, რომ უბრალოდ იარსებონ, მათი პენსია, ცხადია, მთლიანად წამლების შეძენაზე იხარჯება.**

იხ. 4 გვ.

◎ „შავსათვალიანი“ ოპოზიცია

# უნდა დასრულდეს ჯანდაცვის სფეროში ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე გაუმართლებელი ექსპერიმენტები!

(მესამე გვერდიდან)

მედიკამენტების უკიდურესად გაზრდილი ფასები ჩვენი საზოგადოების მთავარ პრობლემად იქცა. ვერც ერთი ოჯახი, განურჩევლად იმისა, ჰყავს თუ არა მას ხანდაზმული ადამიანი ან მცირეწლოვანი ბავშვი, ვერ აგროვებს მედიკამენტებისთვის საჭირო თანხას. ხელისუფლება პენსიონერებს 25-ლარიან ერთჯერად ვაუჩერს, ხოლო უმწეოებს 50 ლარს სთავაზობს წელიწადში. ორი დღის წინათ ქრისტიან-დემოკრატებმა ექსპერიმენტი ჩავატარეთ. მე პირადად გახლდით აფთიაქში და ამ ლიმიტის ფარგლებში შევიძინე ყველაზე ხშირად მოხმარებადი სხვადასხვა დანიშნულების მედიკამენტები. შედეგმა ცხადყო, რომ არავითარ რეალურ შეღავათთან ჩვენ საქმე არ გვაქვს. ორივე პროექტი არის მხოლოდ ფასადური აქცია. მე შევძელი მხოლოდ რამდენიმე დღის სამყოფი წამლების შეძენა. გამოსავალი მხოლოდ ერთია, ქრისტიან-დემოკრატები ვაყენებთ ინიციატივას – დაწესდეს ზღვრული ფასები ყველაზე ხშირად მოხმარებად მედიკამენტებზე, დადგინდეს ლიმიტი, რა შეიძლება ღირდეს ესა თუ ის წამალი, რათა შემცირდეს ფარმაცევტული კომპანიების მოგების წილი. პარალელურად უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერი ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც არ დაუშვებს ბაზარზე მონოპოლისტების არსებობას და უზრუნველყოფს ჯანსაღი, კონკურენტული გარემოს შექმნას. რაც შეეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც ძალიან ხმაურიანად გაშუქდა მედიის მეშვეობით, როგორც მოსალოდნელი იყო, მან არავითარი შედეგი არ მოიტანა. გასულია ხუთი თვე, რაც კანონი ძალაში შევიდა, მედიკამენტების ფასები კი მუდმივად იზრდება და არ მცირდება.

დაბოლოს, არ შეიძლება არ ვისაუბროთ პროექტზე, რომელიც უკვე გახდა ნაციონალური მოძრაობის წარუმატებელი მმართველობის სიმბოლო. ეს არის ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმა – პროექტი „ასი ახალი საავადმყოფო“. პროექტის დამტკიცებიდან სამი წლის შემდეგ რეგიონებში 77 და დედაქალაქში 23 ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი, მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მქონე საავადმყოფოების ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ სამედიცინო სერვისზე უკიდურესად გაზრდილი ფასები, დათრგუნული და დაშინებული სამედიცინო საზოგადოება, რომელსაც ყოველდღიურად სამსახურიდან გათავისუფლებით ემუქრებიან და, რაც მთავარია, დანგრეული საავადმყოფოები, სადაც პაციენტების მკურნალობა მათ სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. კომპანია „ბლოკ-ჯორჯიამ“, რომლის თაობაზეც ქრისტიან-დემოკრატებმა უკვე მივმართეთ გენერალურ პროკურატურას, სამი წელი მოანდომა ხუთი საავადმყოფოს კოსმეტიკურ რემონტს, რაც ნიშნავს, რომ სამუშაოს 95 პროცენტი შესრულებული არ არის. ამოიწურა ყველა ვადა, დაირღვა ყველა პირობა, შესაბამისად, საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის გადარჩენისთვის ერთადერთ გამოსავლად ქრისტიან-დემოკრატებს მიგვაჩნია, რომ უნდა გაუქმნდეს „ბლოკ-ჯორჯიასა“ და ეკონომიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება. სახელმწიფომ უნდა დაიბრუნოს გადაცემული სამედიცინო ობიექტები და კომპანიას დაეკისროს ჯარიმა ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ეს გადაწყვეტილება ჩვენმა მოქალაქეებმა უკვე მიიღეს და ახლა საჭიროა მთავრობამ განახორციელოს საზოგადოების დაკვეთა და კანონის მოთხოვნა.

ქრისტიან-დემოკრატები ვამაყობთ, რომ ჩვენი ინიციატივით ონკოლოგიური დაავადებების სახელმწიფო პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რამაც ათასობით ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ ხელისუფლებამაც უნდა გააცნობიეროს, რომ ეს ქვეყანა ვერ განვითარდება, სანამ არ შეიქმნება სოციალური დაცვის გამართული სისტემა, სანამ ყოველი მოქალაქე არ იქნება უზრუნველყოფილი ხარისხიანი და რაც მთავარია, ხელმისაწვდომი ჯანდაცვით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს ამ სფეროში ჩვენი ჯანმრთელობის ხარჯზე გაუმართლებელი ექსპერიმენტების ჩატარება.

◎ სუპერმარკეტი




## „პოპული“ და „გუდვილი“ „გულხელგაშლით“ გვმასპინძლობენ

**ის ამბავი მინდა გავიხსენო, ამ რამდენიმე წლის წინათ დიდ დიღომში სუპერმარკეტი „გუდვილი“ რომ გაიხსნა და დედაქალაქის მომხმარებელთა „ავტომობილიზებული“ ნაწილი ერთბაშად ნიაღვარივით მიასკდა. როგორც მაშინ ვწერდი ჩვენს გაზეთში, ერთი ჩემი მეზობელი ყოველ შაბათს ან კვირადილას ჩაჯდებოდა თავის თაგვისფერ „ფოლკსვაგენში“, მოისვამდა გვერდით პირმშვენიერ მეუღლეს და მოუსვამდა „გუდვილისკენ“.**

– კაცო, რა დაგაქვს ყოველკვირა ამ „გუდვილში“, არ იტყვი? – მძლია ერთხელაც ცნობისმოყვარეობამ.

– კი არ დამაქვს, ჩემო ბატონო, მომაქვს. ოჯახისთვის ერთბაშად მთელი კვირის საგზალს ვყიდულობ და მერე ყოველდღიურად ბაზარში და მაღაზიებში აღარ დავრბივარ, – მითხრა საკუთარი მოხერხებულობით კმაყოფილი კაცის იერით მეზობელმა.

– მაგრამ კვების პროდუქტების გარდა სხვაც ხომ უამრავი რამ სჭირდება ოჯახს?

– მერე ვინ გითხრა, რომ იქ მხოლოდ საჭმელ-სასმელს ვყიდულობ, სუპერმარკეტის ვრცელი დარბაზები სავსეა სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლით (მათ შორის ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, საყოფაცხოვრებო ნივთებით და სხვაძ, შენ ოღონდ მოისურვე რამე და გაუჩენელს გაგიჩენენ.

– რადგან ასეთი მომარაგება აქვთ, ალბათ, სხვა მაღაზიებთან შედარებით, საქონელიც ძვირი ეღირება.

– პირიქით, სუპერმარკეტში მომწოდებლებს, მცირე სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით, საქონელი დიდ პარტიებად შეაქვთ და შესაბამისად საბითუმო ფასებში ჰყიდიან.

– გამოდის, რომ მოგებული რჩები?

– რა თქმა უნდა, ასე რომ არ იყოს, იმ სიშორეზე რატომ ვივლიდი?

მაგრამ ეს იყო, როგორც ვთქვი, ამ რამდენიმე წლის წინათ. მას შემდეგ დრო გავიდა და სიტუაციაც ერთბარად შეიცვალა. ცხოვრებამ აჩვენა, რომ „გუდვილი“ არ გახლავთ უნაკლო და მასაც აქვს საკუთარი პრობლემები. მცირე, ყოველდღიური მოხმარების პროდუქტების შესაძენად ქალაქის გარეუბანში სიარულს აზრი არა აქვს. იქ უმეტესად ისეთი მომხმარებლები დადიან, რომლებსაც საკუთარი ტრანსპორტი და მთელი კვირის მარაგის შეძენის სახსარი გააჩნიათ. ამიტომ, ბუნებრივია, საკმაო კონკურენციას ვერ უწევს დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში განლაგებულ სუპერმარკეტებს, რომლებსაც მოსახლეობის გაცილებით დიდი რაოდენობა ეტანება. ამის პრეცედენტი უკვე შექმნა, მაგალითად, „პოპულმა“, რომელმაც უკვე მოასწრო თბილისის თითქმის ყველა უბანში და რეგიონში ფართო, კეთილმოწყობილი ქსელის განთავსება და ქვეყანაში საცალო ვაჭრობის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

„გუდვილისგან“ განსხვავებით „პოპულის“ სუპერმარკეტებში პროდუქტის შეძენა უფრო მოხერხებულია, რადგან ისინი უშუალოდ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, გზის პირას არიან განლაგებულნი და მყიდველი იოლად აგნებს მისთვის სასურველ პროდუქციას. თანაც ტრანსპორტი არ სჭირდება, ბენზინი არ ეხარჯება და შესაბამისად ნავაჭრიც შედარებით იაფი უჯდება.

ალბათ ყველა ეს ფაქტორი გაითვალისწინეს „გუდვილის“ თავკაცებმა, როცა დედაქალაქის ცენტრალურ უბანში, ვაკეში, დიდი და კეთილმოწყობილი სუპარმარკეტი გახსნეს. როგორც ბევრისთვის უკვე ნობილი გახდა, „გუდვილი“ არც სამომავლოდ აპირებს გაჩერებას და პოზიციების დათმობას.

ასეთ დროს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, „გუდვილი“ და „პოპული“, რა თქმა უნდა, ერთმანეთის კონკურენტები შეიქმნენ და „ურთიერთმომხრჩობ“ ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ ისეთ ბრძოლაში, როცა კონკურენტები ერთმანეთს კი არა, მომხმარებელს ახრჩობენ. ეს საქართველოსათვის სულაც არ გახლავთ ახალი, ჯერ კიდევ დაუზემოვნებელი უცხო ხილი. ხალხი კარგა ხანია მიეჩვია ისეთ ვაჭრობას, როცა კონკურენტი ფირმები ამა თუ იმ პროდუქტზე ფასს დაკლების ნაცვლად უმატებენ და ისედაც ლეტაკი მოსახლეობის ყოფას კიდევ უფრო ამძიმებენ. ასეა ენერგეტიკულ, ფარმაცევტულ, საკომუნიკაციო სფეროებში და სიურპრიზს რაღა კონურენტი სუპერმარკეტები შემოგვთავაზებენ?

ჰოდა აი რეალობაც. გამოკვლევებიდან, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები აწარმოებენ, ჩანს, რომ ჩვენი დედაქალაქის სუპერმარკეტებში პროდუქტზე ფასები გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ პატარა მაღაზიებში. პირიქით კი უნდა იყოს, წესისა და რიგის მიხედვით, პეპელა ფერებით აჭრელებულ „პოპულში“, „ბიგ-ბენში“, „გუდვილში“, რომლებიც წვრილ სავაჭრო ობიექტებთან შედარებით, ათჯერ მეტ მომხმარებელს იზიდავენ, პროდუქციის ფართო ასორტიმენტითა და ყოველდღიური ნავაჭრის სიდიდით გამოირჩევიან, მომხმარებელი შესაბამისად აქ გაცილებით მაღალი ხარისხის პროდუქციას შედარებით იაფად უნდა იძენდეს.

ლოგიკურად ასეა, მაგრამ, როგორც ჩანს, მევაჭრეთა აზროვნება კიდევ უფრო „ლოგიკურია“. ალბათ ამით აიხსნება, რომ კარაქი „სამორი“, მაგალითად, „ბიგ-ბენში“ 2,70 ლარი ღირს, „გუდვილში“ – 2,45 ლარი, ხოლო ჩვეულებრივ მაღაზიაში – 2 ლარი. ებრეთწოდებული „ქვის პურის“ ფასი „გუდვილში“ 75 თეთრია, „პოპულში“ – 70 თეთრი, „ბიგ-ბენში“ – 65 თეთრი, მაღაზიაში კი – 55 თეთრი. მარილი რომ მარილია, ისიც კი ჰიპერმარკეტ „გუდვილში“ 55 თეთრი ღირს, „პოპულში“ – 50 თეთრი, ხოლო რიგით მაღაზიაში – 40 თეთრი. დავიჯერო, სუპერმარკეტში შეძენილი პური, მარილი, კარაქი და სხვა პროდუქტები (ყველას ვერ ჩამოთვლიძ გაცილებით ხარისხიანი და უფრო გემრიელია, ვიდრე მცირე მაღაზიებში ნაყიდი?

ამ კითხვაზე პასუხი სუპერმარკეტთა მესვეურებს საერთოდ არა აქვთ, ან თუ აქვთ, რეალობასთან არაადეკვატურია. აი, თუნდაც ასეთი: „ჩვენ მოგების მაღალ პროცენტზე ვმუშაობთ და ამიტომაც გვაქვს მაღალი ფასები“(!ძ. რატომაც არა, ჩვენი მთავრობისა არ იყოს, აბა ხალხის მოგებასა და უკეთეს მომსახურებაზე ხომ არ იმუშავებენ?!

ამ ორიოდე დღის წინათ სუპერმარკეტ „პოპულში“ არც თუ ისე საინტერესო საუბარს გადავეყარე.

– ეს 30 ლარი არ ჰყოფნის, ქალბატონო, თქვენს ნავაჭრს, – ეუბნება მოლარე მომხმარებელს.

– რას ჰქვია არ ჰყოფნის, – განაწყენდა მყიდველი, – როცა დახლებიდან პროდუქტებს ვარჩევდი, ფასებიც ზუსტად დავიანგარიშე და მან მხოლოდ 29 ლარი და 35 თეთრი შეადგინა.

– თქვენ ალბათ ძველი ფასებით იანგარიშეთ, ქალბატონო.

– როგორ თუ ძველი ფასებით, მე იმ ფასებით ვიანგარიშე, რაც პროდუქტებს ეწერა.

– მაგრამ ცოტა ხნის წინათ პროდუქტები გაძვირდა, ჩვენ კი დახლებზე ფასების შეცვლა ვერ მოვასწარით, – სცადა განმარტება მოლარემ. თუმცა ასეთმა „განმარტებამ“ დაძაბული სიტუაცია ოდნავადაც ვერ განმუხტა. ფასთა სხვაობით მიღებული ის 4,5 ლარი, რომელიც მომხმარებელს უნდა დაემატებინა, ქალბატონს არ აღმოაჩნდა და იძულებული გახდა ნავაჭრის ერთი ნაწილი უკან დაებრუნებინა. ამან მომდევნო მომხმარებელი, მაღალი ჭაღარა მამაკაცი, იმდენად გაანერვიულა, რომ მოლარემდე აღარც მისულა, სასწრაფოდ გაბრუნდა და კალათაში ჩაწყობილი პროდუქტები ისევ დახლზე ჩამოარიგა.

ეს შემთხვევა რომ გამონაკლისი იყოს, კიდევ რა უჭირდა. როგორც სხვა გაზეთებიდან შევიტყვე, ეს პრობლემა „პოპულს“ (უფრო მეტად კი მის მომხმარებელსძ თურმე პერმანენტულად აწუხებს. ხშირად სუპერმარკეტის დახლზე დაბალი ფასები წერია, სალაროსთან კი მომხმარებელს ზედმეტს ახდევინებენ, იმ „არგუმენტით“, რომ პროდუქტები ფაქტობრივად გაძვირდა, დახლებზე ფასების შეცვლა კი ვერ მოვასწარითო(!ძ.

თუმცა არსებობს ამისგან განსხვავებული და თანაც უფრო საეჭვო „არგუმენტი“. ლაპარაკია იმ სიცბიერეზე, რომელიც სუპერმარკეტ „პოპულის“ მენეჯმენტში წინასწარ შეიძლება იყოს გათვლილ-გაანგარიშებული. კერძოდ იმაზე, რომ სალარომდე მისულ პროდუქტებით დაზურგულ მომხმარებელს ურჩევნია ზედმეტი გადაიხადოს, ვიდრე უკან გაბრუნდეს. და კიდევ ქართველი კაცის მენტალობაზე, რომლის თავმოყვარეობაზეც უფულობა (ამ შემთხვევაში იმ დამატებითი თანხის უქონლობა) მომაკვდინებლად მოქმედებს.

**დღევანდელ საქართველოში ყველაფერია მოსალოდნელი, მით უფრო იმ ხელისუფლების ხელში, რომელსაც ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ცბიერებაც მოჭარბებულად „ამშვენებს“.**

**ოთარ ხუციშვილი**

◉ მეცნიერება

***ჩვენ** უკვე ვწერდით, რომ სმეა-ს აკადემიური საბჭოს ამასწინანდელ სხდომაზე დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელი, აკადემიკოსი **ერეკლე გამყრელიძე** გამოვიდა მოხსენებით „თანამედროვე გეოლოგიური თეორია და საქართველოს ახალი ტექტონიკური რუკა (ციფრული ვერსია)“. სხდომა გაფართოებული გახლდათ — მას ესწრებოდნენ შესაბამისი პროფილის დაწესებულებათა წარმომადგენლები.*

*„დამაინტრიგებელი“ სათაურიდანვე ჩანდა, რომ ეს „ეკრანიზებული“ გამოსვლა გაცხოველებული განსჯის საგანი იქნებოდა და ასეც მოხდა... როგორც მკითხველს დავპირდით, თემის ირგვლივ სასაუბროდ ბატონ ერეკლეს ვეწვიეთ.*

# საქართველოს ახალი ტექტონიკური რუკა არის! ჯერი გამოცემაზეა

**— რაკი ახალ რუკაზე იყო ლაპარაკი, მისი წინამორბედებიც არსებულა...**

— დიახ, 1974 წელს გამოიცა კავკასიის ტექტონიკური რუკა მასშტაბით 1:1000 000 აკადემიკოს პეტრე გამყრელიძის რედაქტორობით. ერთ-ერთი ავტორი მეც გახლდით. თანამედროვე გეოლოგიური თეორია ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი და ის რუკა ძველი პრინციპებით აიგო. 2003-ში კი გამოვიდა 1:500 000 მასშტაბის საქართველოს გეოლოგიური რუკის ციფრული ვერსია ქართულ და ინგლისურ ენებზე გრიგოლ გუჯაბიძის ავტორობითა და ჩემი რედაქტორობით.

**— თქვენი მოხსენების სათაურში ნახსენებია თანამედროვე ლითოსფეროს (დედამიწის მყარი გარსის) ფილების ტექტონიკის თეორია, — როგორ უნდა გვესმოდეს ის?**

— ახალი გეოლოგიური თეორია, რომელშიც ჰარმონიულად შეირწყა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ძირითადად სამი მიმართულება — გეოლოგია, გეოფიზიკა და გეოქიმია, საშუალებას იძლევა, რომ დედამიწის ევოლუცია განვიხილოთ მატერიის მოძრაობის მრავალსახეობაში — ენერგეტიკული პროცესების, მექანიკური გადაადგილებებისა და ნივთიერების ქიმიური გარდაქმნების ჩათვლით.

**— ბატონო ერეკლე, ყოველ ახალ თეორიას ჰყავს ავტორი ან ავტორთა კოლექტივი, რა შეიძლება ითქვას ლითოსფეროს ფილების ტექტონიკის შემთხვევაში?**

— საბოლოო სახით ამ ახალი გეოლოგიური თეორიის ჩამოყალიბებას საკმაოდ ხანგრძლივი დრო დასჭირდა. მას ერთი გამოკვეთილი ავტორი არა ჰყავს, თუ არ ჩავთვლით გერმანელი მკვლევარის ალფრედ ვეგენერის ჰიპოთეზას კონტინენტების დრეიფის შესახებ, გამოთქმულს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში. ჰიპოთეზის ძირითადი დებულებები გარკვეული სახით შევიდა თანამედროვე გეოლოგიურ თეორიაში. მის შექმნაში მონაწილეობდნენ ამერიკელი, ბრიტანელი, კანადელი და ფრანგი მეცნიერები.

ქართველ გეოლოგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ თეორიის განვითარებასა და დამკვიდრებაში ერთობ მნიშვნელოვანი წვლილი მათაც შეიტანეს. ისინი სწორედ ფილების ტექტონიკის ძირითად დებულებათა დამტკიცებას 1970-იანი წლების დასაწყისიდან ცდილობდნენ ისეთ უნიკალურ ბუნებრივ ლაბორატორიაში, როგორიც კავკასია და მომიჯნავე ტერიტორიებია. ეს რეგიონი აღმოჩნდა ერთგვარი „სასინჯი ქვა“, რომლის მაგალითზეც მოწმდებოდა ახალი გეოლოგიური თეორიის მთავარი დებულებები.

ფილების ტექტონიკის თეორიის ჩამოყალიბების პარალელურად ვითარდებოდა კიდევ ერთი მობილისტური კონცეფცია ლითოსფეროს ჰორიზონტალური ტექტონიკური განაშრევების შესახებ, რომელიც უშვებს არა მხოლოდ ლითოსფეროს ფილების ჰორიზონტალურ გადაადგილებას, არამედ ლითოსფეროს შიგნით დიდ მანძილზე



ერეკლე გამყრელიძე

გადაადგილებასაც: დედამიწის ქერქისა და მისი გრანიტული ფენის ფუძეში და მის დანალექ საფარშიც. ლითოსფეროს ზედა ნაწილში ამგვარ ტექტონიკურ განშრევებას ადასტურებს უშუალო გეოლოგიური დაკვირვებები, რომლებიც გვიჩვენებს შარიაჟების ანუ ტექტონიკური ზეწრების არსებობას მრავალ მთათა სისტემაში.

ამაში დარწმუნების შესაძლებლობა თავადაც მომეცა, რამდენადაც 16 წლის მანძილზე, როგორც საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, ასეთ სტრუქტურებს ვიკვლევდი ალპების, პირინეების, ბოჰემის მასივის, კარპატების, ბალკანიდებისა და, რასაკვირველია, კავკასიის ფარგლებში.

ბოლო ხანებში უკვე გაირკვა, რომ ფილების ტექტონიკის თეორიასა და ლითოსფეროს ტექტონიკურ განშრევებას შორის რაიმე წინააღმდეგობა არ არსებობს: ისინი ერთმანეთს ავსებენ და მათი სინთეზი უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა გეოლოგიური მეცნიერების განვითარებისთვის.

**— თქვენი მოხსენების დასახელების პირველი „მდგენელი“, ვფიქრობ, ფრიად დეტალურად გააშუქეთ. ძალიან სასიამოვნოა ახალი თეორიის განვითარებაში ქართველ გეოლოგთა დამსახურების მოსმენა. ალბათ უკვე შეიძლება მოხსენების მეორე ნაწილზე გადასვლა...**

— საქართველოს ახალი ტექტონიკური რუკა, შედგენილი ჩემი ავტორობითა და რედაქტორობით (თანაავტორები არიან აწ გარდაცვლილი მიხეილ ფრუიძე, მამია გამყრელიძე და მალხაზ ლოლაძე), წარმოადგენს სწორედ ახლახანხსენებული სინთეზის შედეგს. მასზე გამოსახულია მონაცემები საქართველოს ტერიტორიაზე დედამიწის ქერქის ტექტონიკური სტრუქტურისა და მისი ჩამოყალიბების ისტორიის თაობაზე. ნაჩვენებია მისი ამგები სტრუქტურების (მათ შორის ზემოთ ნახსენები შარიაჟების) მორფოლოგია, განვითარების ძირითადი ეტაპები და ტექტონიკური დეფორმაციების ხასიათი. რუკაზე, აქტუალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, გამოყოფილია დანალექი, ეფუზური (ამონთხეული) და ინტრუზული (დედამიწის ქერქში შემოჭრილი და გაცივებული) მაგიური ქანების გეოდინამიკური კომპლექსები, რაც ეყრდნობა ერთი მხრივ მათს ლითოლოგიურ შემადგენლობას, მეორე მხრივ, პეტროქიმიურ თავისებურებებს.

რუკაზე ნაჩვენებია აგრეთვე მეტამორფული (მაღალი წნევისა და ტემპერატურის ზეგავლენით სახეცვლილი) ქანების ტიპები. სტრატოიზოჰიფსების (ჰორიზონტალების) საშუალებით გამოხატულია სხვადასხვა გეოლოგიური ზედაპირის ჩაწოლის სიღრმე და მორფოლოგია. ჩანართების სახით მოცემულია მეზოზოურ და კაინოზოურ ხანაში (უკანასკნელი 200 მილიონი წლის განმავლობაში) არსებული გეოდინამიკური პირობები, ძველი ოკეანური აუზების ქერქის რელიქტები (ნარჩენები) და ძველი სუბდუქციის ანუ ოკეანური ქერქის კონტინენტების ქვეშ დაძირვის ზონები. ნაჩვენებია აგრეთვე დედამიწის ქერქში არსებული სეისმოგენერირებადი რღვევების გავრცელება, უახლესი და თანამედროვე ტექტონიკური დაძაბულობების ხასიათი და დედამიწის ქერქის თანამედროვე ჰორიზონტალური მოძრაობის მიმართულება და სიჩქარე, რომელიც GPS-ის (პოზიციონირების გლობალური სისტემის) მონაცემებით იცვლება 2,9-დან 6,9 მილიმეტრამდე წელიწადში.

დახასიათებულ რუკას აქვს არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, კერძოდ, მეტალოგენიური ანალიზისთვის და სუბდუქციის ზონებთან დაკავშირებული მადნეული წიაღისეული საბადოების განლაგების კანონზომიერების დასადგენად.

დაბოლოს, ახალი გეოლოგიური თეორიიდან გამომდინარე, ნავთობის წმინდა ორგანული წარმოშობის კონცეფციის უარყოფის გამო, აქტუალური ხდება სიღრმული ფაქტორების გათვალისწინება, კერძოდ, დედამიწის მანტიის დეგაზაციის მოვლენის მნიშვნელობისა და შესაბამისად, ამ წიაღისეულის (ნავთობის) ძებნის ახალი კრიტერიუმების შემუშავება...

**მკითხველს უნდა ვაუწყოთ კიდევ ერთი სასიამოვნო დეტალი: აკადემიური საბჭოს წინაშე წარდგომამდე, აკადემიკოსი ერეკლე გამყრელიძე შარშან ანალოგიური შინაარსის მოხსენებით გამოვიდა შვეიცარიის ქალაქ ფრიბურგის უნივერსიტეტში, სადაც ამ პრესტიჟული სასწავლებლის გეოდინამიკის დეპარტამენტმა მიიწვია. ჩვენთვის ცნობილია, რომ მოხსენებას მაღალი შეფასება ხვდა, შედეგად საქართველოს ახალი ტექტონიკური რუკის შედგენის პრინციპები დაედო საფუძვლად ასეთივე კავკასიის ტექტონიკური რუკის შედგენას. ეს მოხდა შვეიცარიის ნაციონალური ფონდის SNF SCOPES-ის პროგრამით.**

**... სმეა-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებას რაც შეეხება (მკითხველს მის გაცნობასაც დავპირდით) — საბჭომ ერთსულოვნად მოიწონა აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძის ახალი ციფრული ტექტონიკური რუკა, რეკომენდაცია მისცა მის გამოცემას და აღძრა შუამდგომლობა სათანადო დაფინანსების შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინაშე.**

თამაზ ეზანოიძე

◉ ნანოტექნოლოგიების უვალი გზები

# მოდერნიზება — ძველი სიმღერა ახალ ყაიდაზე

**რუსეთს მალე საკუთარი სილიკონის ველი ექნება. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, რომელიც დიდად უკმაყოფილოა, რომ ქვეყანას ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა ისევე ამცირებს, როგორც ენერგორესურსების ექსპორტზე დამოკიდებულება, გადაწყვიტა „XXI საუკუნის აკადემიური ქალაქის“ აშენების ბრძანების გაცემა, სადაც საუცხოო პირობებში 40 ათასი მეცნიერი, ინჟინერი და ტექნოლოგი დასახლდება, რომლებიც უახლოეს მომავალში რუსეთული წარმოების ახალ ტექნოლოგიებს შექმნიან.**

ცოტა ხნის წინათ დიმიტრი მედვედევმა ტომსკში 14 წამყვანი კერძო კომპანიის ხელმძღვანელი შეკრიბა. სახელმწიფო მზადაა პროექტი 50 პროცენტით დააფინანსოს, დანარჩენი თანხა კი, რაც ინვესტიციებს, ახალი ტექნოლოგიების დამუშავებასა და მათ რეალიზებას დასჭირდება, ოლიგარქებმა და სახელმწიფო კორპორაციებმა უნდა იკისრონ, ითქვა თავყრილობაზე. ამასთან დაკავშირებით ექსპერტები აღნიშნავენ, რომ არჩეულია განვითარების ხუთი ძირითადი მიმართულება. ესენია, კერძოდ, **ენერგოეფექტიანობა, ბირ-**



**თვული ენერგეტიკა, კოსმოსი, მედიცინა და საინფორმაციო ტექნოლოგიები.** დაინტერესებული პირები, კერძო კომპანიები და სახელმწიფო უწყებებმა წინადადებები კრემლში მიმდინარე წლის 1 აპრილამდე უნდა წარადგინონ, **რომელთაგან მხოლოდ პოტენციურად მომგებიან პროექტებს შეარჩევენ.**

ექსპერტები ასევე აღნიშნავენ (თუმცა ბევრი ამ პროგრამას დიდი სკეფსისით შეხვდა), რომ **თუ ყველაფერი დასახული გეგმის მიხედვით განვითარდა, ტექნოპოლისი მოსკოვის მახლობლად 2010 წლის მიწურულამდე შეიძლება გაჩნდეს, სადაც ფინანსური ნაკადების დაახლოებით 80 პროცენტი იქნება კონცენტრირებული.** ახლა საქმე სპეციალისტების მოძებნაა, რომლებიც, მართალია, რუსეთში მრავლად კი არიან, მაგრამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მათი უმრავლესობა საზღვარგარეთ სამუშაოდ ან, სულაც, მუდმივად საცხოვრებლად წავიდა. ახლა მთელი პრობლემა ისაა, რომ შეძლებენ კი უმაღლესი კვალიფიკაციის რუსეთელი მეცნიერისა და ინჟინრის მაღალი ანაზღაურებით და კომფორტული საყოფაცხოვრებო პირობებით მოხიბვლას კრემლის ჩინოვნიკები?

ჟურნალისტები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებასაც, რომ **სილიკონის ველის რუსეთულ ვარიანტს არაფერი აქვს საერთო ამერიკულთან: კალიფორნიაში ინიციატივა ქვევიდან მოდიოდა, რუსეთში კი ის, როგორც ყველა სხვა, ზემოდან მოდის.** ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა ფრანგულ „ლე მონდში“ გამოქვეყნებული სტატიის ამონარიდი: **„მოდერნიზება რუსეთში, რომ იტყვიან, ძველი სიმღერაა, რომელიც მას ჯერ კიდევ სტოლიპინის, ლენინის, სტალინისა და გორბაჩოვის დროიდან აბოდებს. დიახ, მოდერნიზება აუცილებელია, მაგრამ როგორ, რა გზით? მათრახი ამ საქმეში აღარ გამოდგება. ახლა დისკუსიების დრო დადგა, რომელშიც ერთმანეთს ორი პოზიცია დაუპირისპირდა. ლიბერალებს, ანუ ინტელიგენციასა და მეწარმეებს, მიაჩნიათ, რომ პროგრესი მანამდეა შეუძლებელი, ვიდრე სასამართლო ხელისუფლება ზემოდან მიღებულ მითითებებს ასრულებს, კორუფციის დონე განუხრელად იზრდება, ჩინოვნიკების ძალაუფლება, ფაქტობრივად, შეუზღუდავია, ხოლო თავისუფლებას უმოწყალოდ ზღუდავენ. ხელისუფლების მომხრეებს კი, პირიქით, მიაჩნიათ და ამტკიცებენ, რომ ძლიერი სახელმწიფო კონტროლირებადი მოდერნიზების აუცილებელი პირობაა. თავის დროზე მიხეილ გორბაჩოვის გეგმის, არსი იყო ინოვაციების დანერგვა პოლიტიკური სისტემის შეუცვლელად, მაგრამ დღევანდელი რუსეთი 1980-იანი წლების სსრ კავშირი სულაც არ გახლავთ, აქ იდეებიც არის. ამის ნათელი მაგალითია მოსკოვში ტრუბნაიას ქუჩაზე გამოკრული პლაკატი: „ავტოსამრეცხაო ნანოტექნოლოგიების გამოყენებით“. ეს ხომ მარტო იდეა კი არა, მთელი სამოქმედო პროგრამაა!“** — ქირქილებს გაზეთი.

ოთარ ტურაბელიძე

◉ ინფორმაცია

## სამხედრო წვრთნები ჩრდილოკავკასიაში

**ჩრდილოკავკასიაში რუსეთი მორიგ, 10-დღიან სამხედრო წვრთნებს ატარებს.**

**რუსი სამხედრო მაღალჩინოსნების განცხადებით, სწავლების მთავარი მიზანი ჯარისკაცებისთვის ახალი სამხედრო ტექნიკის გაცნობაა, რომელიც უახლოეს მომავალში ძველ სამხედრო ტექნიკას ჩაანაცვლებს.**

**რეგიონში სხვადასხვა რუსული სამხედრო შენაერთიდან 200 სამხედროა მობილიზებული.**

**რუსული მხარის მტკიცებით, სწავლება რეგიონში სტაბილურობისა და დანაშაულის წინააღმდეგ არის მიმართული.**

**შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაცია მსგავს სწავლებებს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებშიც სისტემატურად ატარებს.**

ХО-ЭИВ-ЭНИ

დოდო ალექსიძე – 100

## რეჟისორად უნდა დაიბადო

*დამეთანხმებით, რომ ბედნიერია ის თაობა, ვისაც წილად ხვდა სცენაზე ეხილა ქართული და უკრაინული თეატრების დიდი კორიფის, სახელგანთქმული რეჟისორის დოდო ალექსიძის სპექტაკლები — „ალკაზარი“, „ბარათაშვილი“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „სასტუმროს დიასახლისი“, „ოიდიპოს მეფე“, „ბახტრიონი“, „ფიროსმანი“ და მრავალი სხვა. ეს სპექტაკლები საქართველოსა და უკრაინის „ოქროს ფონდშია“ დავანებული. ბედნიერნი არიან ის მსახიობები, რომლებიც ბატონი დოდოს სახელოსნოში გამოიწვრთნენ და შემდეგ სახელი გაუთქვეს მთელ ყოფილ საბჭოეთში თავიანთი ხელოვნებით ქართულ და უკრაინულ თეატრალურ კულტურას.*

*მეტად ორიგინალური, ასაკთან შედარებით გადამეტებულად პლასტიკური და ბობოქარი რეჟისორი წელს ასი წლისა შესრულდებოდა. ჩვენმა ცნობილმა თეატრთმცოდნემ, ბატონმა ნოდარ გურაბანიძემ თავისი რედაქტორობით ახლადგამოსული (სწორედაც საიუბილეო დღეებში) წიგნით „ნიჭიერების ძალა“ ხარკი გადაუხადა არა მარტო დიდ რეჟისორს, არამედ თეატრის მოყვარულებსა და დოდო ალექსიძის ნიჭის თაყვანისმცემლებს. ორენოვანი (რუსულ-ქართული) კრებული კი ქალბატონმა ნინო ალექსიძემ შეადგინა, რომელიც ძმის, ცნობილი ბიზანტოლოგის, პროფესორ ალექსანდრე ალექსიძის ხსოვნას მიუძღვნა. აქ თავმოყრილია დოდო ალექსიძის კოლეგების, მეგობრებისა და მოსწავლეების მოგონებები. როგორი იყო რეჟისორი თეატრში, ოჯახში, მეგობართა წრეში. ამაზე საუბრობენ გიგა ლორთქიფანიძე, ვასილ კიკნაძე, გიორგი გეგეჭკორი, მიხეილ თუმანიშვილი, ზინა კვერენჩხილაძე, ნიკოლოზ აბალკინი, მიხეილ ბარიშნიკოვი, ევგენი ლებედევი და მრავალი სხვა. რამხელა სიყვარული, სითბო და ობიექტურობა ჩანს ამ მოგონებებში, ყველაფერს წიგნიდან შეიტყობთ. აქვე გთავაზობთ ბატონ ნოდარ გურაბანიძის წინასიტყვაობას მცირეოდენი შემოკლებით.*

მამუკა ვაშაკიძე

# დიდი დოდო



ოცდამეერთე საუკუნის სიმაღლიდან გადავცქერი ქართული კულტურის ვრცელ პანორამას. თითქოს სულ ახლოს, ხელის ერთ გადაწვდენაზეა განვლილი მეოცე საუკუნე — პერმანენტული ომების, განსაცვიფრებელი აღმოჩენების, კონფლიქტების, უახლოესი ტექნოლოგიების, ჰუმანური იდეალების მსხვრევის, კულტურის აღმავლობისა და სულიერ ფასეულობათა დევალვაციის საუკუნე.

ბუნებრივია, ვერც საქართველო ასცდა ამ საყოველთაო კატაკლიზმებს, ხოლო ზოგიერთმა უარყოფითმა ტენდენციამ აქ უფრო მძაფრი ხასიათი შეიძინა, ვიდრე სხვაგან. ქართული კულტურა და ხელოვნება ახალ საუკუნეში დროთა გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, რამაც დაბნეულობა და წარსულისადმი ერთგვარი ცინიკურ-ნიჰილისტური დამოკიდებულება გამოიწვია იმ ადამიანებში, რომლებიც მყარად არ დგანან ეროვნული ცნობიერების ნიადაგზე. ბევრი რამ იქნა უარყოფილი, მრავალი „გმირი“ ჩამოაგდეს კვარცხლბეკიდან. სწორედ ასეთ ვითარებაში გვმართებს შევინარჩუნოთ სულიერი წონასწორობა, არ ავყვეთ ვიღაც-ვიღაცების ესთეტიკურ კუნტრუშს, გავიხსენოთ ჩვენი დიდი კორიფეები, რომლებმაც შექმნეს ქართული კულტურა და ხელოვნება, აამაღლეს და შორს განზიდეს ქართული თეატრის სახელი და მას საერთაშორისო ავტორიტეტი მოუპოვეს.

მეოცე საუკუნის ქართული თეატრის კორიფეთა შორის ერთ-ერთი უპირველესია დიმიტრი (დოდო) ალექსიძე — უნიჭიერესი, ღრმად განათლებული რეჟისორი, პედაგოგი, თეატრის თეორეტიკოსი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჩვენი, და დავძენთ, უკრაინული ხელოვნების მთელი ეპოქა, გაბრწყინებული მისი სცენური შედევრები.

ამ შესანიშნავ კრებულში მოთავსებული სტატიებისა და მოგონებების ძალზე საინტერესო მასალა, სადაც ბატონი დოდო სხვადასხვა რაკურსითაა დანახული მათი ავტორების მიერ, საშუალებას იძლევა უფრო რელიეფურად, უფრო მოცულობით წარმოისახოს მისი ფიგურა, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს მისი შემოქმედების სიდიადე.

ახლა კი რამოდენიმე სიტყვა თვით ბატონ დოდოზე და მის საოცარ პიროვნულ თვისებებზე.

დიმიტრი ალექსიძე — განსაცვიფრებელი ფანტაზიის, ტემპერამენტისა და ვნების ადამიანი — ბავშვობიდანვე ეზიარა პოეზიასა და თეატრალურ ხელოვნებას. დედამისი, მარიჯანი — თავისი დროის პოპულარული პოეტი იყო, მრავალი ლირიკულ-სატრფიალო ლექსის ავტორი; მამა, ალექსანდრე — სახელგანთქმული ექიმი და საზოგადო მოღვაწე. ალექსიძეების ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. სწორედ ასეთ გარემოცვაში აღიზარდნენ განუმეორებელი ბატონი დოდო და მისი დები, შემდგომში ცნობილი ხელოვანნი, ქალბატონი ნელი — ნიჭიერი სკულპტორი, და ქალბატონი ირინე — ჩვენი საბალეტო დასის პრიმაბალერინა (სტალინური პრემიის ლაურეატი).

დოდო ალექსიძემ პერინის საბალეტო სასწავლებელი დაამთავრა გენიალურ ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად.

* * *

თვითონაც შესანიშნავი ოჯახი შექმნა ბატონმა დოდომ, მისი უფროსი ვაჟი ალექსანდრე ალექსიძე — ანტიკური და ბიზანტიური ლიტერატურის ბრწყინვალე მცოდნე, ევროპაში ცნობილი მეცნიერი იყო, წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სტრასბურგის უნივერსიტეტში. მეორე ვაჟი, გიორგი ალექსიძე — ჩემი აზრით, ერთ-ერთი უდიდესი ქორეოგრაფია დღევანდელ საბალეტო სამყაროში. ამ სახელოვანი ძმების და, მშვენიერი ნინო ალექსიძე — ფილოლოგია, და აი, უკვე ბევრი წელია, რაც ინტენსიურ მოღვაწეობას ეწევა საბერძნეთში, ათენის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცენტრებში.

* * *

მრავალი წლის მანძილზე ვცხოვრობდი დოდო ალექსიძის მეზობლად ქუჩიშვილის ქუჩაზე. ეს იყო არაჩვეულებრივად სტუმართმოყვარე ოჯახი, სადაც გვხვდებოდა მუდამ მომღიმარი, კეთილი და გულუხვი მასპინძელი ქალბატონი თამარი, რომელიც გულმოწყალე და ყოვლისმიმტევებელი ღიმილით შესცქეროდა ბატონ დოდოს. ერთობ თამამ იმპროვიზაციებს, სხვათა შორის, მის დონჟუანურ გატაცებებსაც, რომელთაც, ბოლოს უფრო ვირტუალური ხასიათი ჰქონდა.

ბატონმა დოდომ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა მოძრაობის სიმსუბუქე და პლასტიურობა, რომლითაც თავის დროზე მას შეეძლო რეპეტიციებზე პარტერიდან სცენაზე ერთი ნახტომით აფრენა, წამიერად გაელვება გრაციოზული ეტიუდით, თუ ე.წ. „აფექტური მოქმედებით“ და მერე, ისევ პარტერში ჩამოხტომა... და ეს ასგზის მაინც მეორდებოდა ყოველ რეპეტიციაზე.

ყველაზე მეტად მანცვიფრებდა მისი პლასტიკის მრავალფეროვნება და ფანტაზიის მართლაც დაუშრეტელი ამოფრქვევანი. ერთი და იმავე ეპიზოდის უამრავი, ერთმანეთთან უკეთესი ვარიანტის შექმნა შეეძლო, ხანდახან გინდოდა გეყვირა პარტერიდან — კმარა, ბრწყინვალეა, რაც უკვე შექმენით, ბატონო დოდო, ნუ ეძებთ სხვას, უკეთესს ვერაფერს მიაგნებთ... ამის გაფიქრებასაც ვერ მოასწრებდი, რომ ახალი და, მართლაც, უკეთესი ვარიანტი მზად იყო... ალბათ დოდო ალექსიძის ეს თვისება ჰქონდა მხედველობაში დიდ აკაკი ვასაძეს, რომელმაც ერთ-ერთ რეპეტიციაზე აღტაცებით თქვა: **„მე ასეთი ნიჭის რეჟისორი არ მინახავსო“.**

ალექსიძის მიერ დადგმული რამდენიმე სპექტაკლი დღესაც შედევრადაა მიჩნეული, ხოლო მის მიერ აღზრდილი მსახიობები (რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ **ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კოტე მახარაძე, გიორგი გეგეჭკორი, გურამ საღარაძე, სვეტლანა კორკოშკო**) დიდხანს ბრწყინავდნენ სცენაზე, და ასევე შემდგომ თაობათა რეჟისორების სპექტაკლების მშვენებასაც წარმოადგენდნენ.

ნოდარ გურაბანიძე.

ინფორმაცია

### გაფორმდა კიდევ ერთი დიპლომატიური ურთიერთობა

**ნიუ იორკში,** გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში, საქართველომ და ლიბერიის რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ.

როგორც საგარეო უწყებიდან იტყობინებიან, სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ მხარეებმა ერთობლივი წერილით აცნობეს გაეროს გენერალურ მდივანს პან გი მუნს.

ლიბერიის მხრიდან კომუნიკეს ხელი მოაწერა ლიბერიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მარჯონ კამარამ, ხოლო, საქართველოს მხრიდან – საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ალექსანდრე ლომაიამ.

— ერთობლივი კომუნიკე თანახმად, საქართველო და ლიბერია ორმხრივ ურთიერთობებს განავითარებენ გაეროს ფუძემდებლური ნორმებისა და პრინციპების, მათ შორის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენული თანასწორობის პრინციპების შესაბამისად, — ნათქვამია სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ეს უკვე მე-8 სახელმწიფოა, რომელთანაც საქართველო დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს.

სულ, გაეროს 191 წევრი სახელმწიფოდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული აქვს უკვე 130 სახელმწიფოსთან.

### თურქმენეთი საქართველოს მოკავშირე და პარტნიორია

**საქართველოსა** და თურქმენეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პირველი პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა.

კონსულტაციებზე, რომელიც თურქმენეთის დედაქალაქ აშხაბადში მიმდინარეობდა, მხარეები მინისტრის მოადგილეების დონეზე იყვნენ წარმოდგენილნი.

საქართველოს საგარეო უწყების დელეგაციას მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვი ხელმძღვანელობდა. თურქმენეთის მხარეს წარმოადგენდა მინისტრის პირველი მოადგილე ვეპა ხაჯიევი.

კონსულტაციების ფარგლებში შედგა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის შეხვედრა თურქმენეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრ რაშიდ მერედოვთანაც.

### ჩიჟოვისთვის საბჭოთა კავშირი ისევ არსებობს

**ეუთოში** რუსეთის სპეციალური წარმომადგენლის ვლადიმერ ჩიჟოვის განცხადებით, საბჭოთა კავშირი ისევ არსებობს.

— საბჭოთა კავშირი ისევ არსებობს და ის აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში დაეხმარება“, — განაცხადა ვლადიმერ ჩიჟოვმა.

მისივე განცხადებით, არ არსებობს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მედვედევ-სარკოზის 12 აგვისტოს შეთანხმება.

აღნიშნულ სკანდალურ განცხადებას გამოხმაურება უკვე მოჰყვა ოფიციალურ თბილისში.

— ის პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს რუსეთი ბოლო წლებში, ზუსტად ისეთივეა, როგორსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებდა, — განაცხადა აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა სერგო კაპანაძემ.

ხო-ეობ-ენო



# იოსებ ბესარიონის ძე სტალინი: ოჯახის გენეალოგია





















## საიმედო ცვლა

# როცა ოდნავი მოდუნება ან შეცდომა დაუშვებელია...

## რთული გზის ღირსეული გამგრძელებლები

***— მე გამაოცა მომავალი ექიმების საქმიანობამ, მათმა დაინტერესებამ, მათმა თავდადებამ, შემართებამ, შეიძლება ითქვას, ბრძოლამ თითოეული ავადმყოფის გადასარჩენად, — ბრძანებს ქალბატონი ნუნუ ტატიშვილი, რკინიგზის საავადმყოფოს რეანიმატოლოგიური განყოფილების გამგე, თავად ცნობილი ექიმი, რომელიც, თუ გადაჭარბებაში არ ჩამომართმევთ, მკურნალის ეტალონად მიმაჩნია. ქალბატონ ნუნუს არც ავადმყოფების სიყვარული და პატივისცემა აკლია და არც კოლეგების დაფასება, ამიტომაცაა ასე ყურადსაღებია ჩემთვის მისი მოსაზრება.***

— დღეს ხშირად გაიგონებთ, ეს რა თაობა მოვიდა, ყველა მოსახვევში სამედიცინო ინსტიტუტები რომ გახსნეს, ეს ამის ბრალიაო. მე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ ცდებიან ის ადამიანები, ვინც ყველას ასე ერთნაირად განსჯიან, — აგრძელებს ქალბატონი ნუნუ, — მოგეხსენებათ, გაცილებით უფრო რთული და ფაქიზია ახალი თაობის აღზრდა, ვიდრე მავანს ჰგონია და ამის მაგალითად რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების ექიმების საქმიანობაც კმარა.

აქ ძალიან ყურადღებით ეკიდებიან მათთან პრაქტიკაზე მოსულ სტუდენტებს. ყველაფერს გულდასმით ასწავლიან მათ, ვინც ეს-ეს არის მოვიდა და ფეხს იდგამს. ახალგაზრდები გრძნობენ, რომ მათს ყოველ ნაბიჯს დიდი სიფრთხილით და სიყვარულით ამოწმებს და ზომავს მათი ხელმძღვანელი.

— რა დიდი ღვაწლიც არ უნდა დასდოს ადამიანმა თავის ქვეყანას, თუ იგი მომავალზეც არ იზრუნებს, თავისივე ღირსეულ შემცვლელს არ შეარჩევს და არ მოამზადებს, ასეთი ღვაწლი ცალმხრივია. აი, ვის უნდა იცნობდეს ჩვენი საზოგადოება და ბაძავდნენ ჩვენი მომავალი ექიმები, — ბრძანებს ქალბატონი ნუნუ და გვთხოვს, უფრო ახლოს გავიცნოთ ისინი.

ნიკა ქარცივაძე, ნიკა კვაჭაძე, გულიკო ქილიფთარი, მაია ჩიკვაიძე, ხათუნა მარგველაშვილი — აი, ის პროფესიონალთა გუნდი, ვისთანაც დიდ სკოლას გადიან, მათგან ბევრს სწავლობენ მომავალი ექიმები. ამ განყოფილების ხელმძღვანელი ლევან სუხიშვილი ფიქრობს, რომ ვინც თავისი საქმის ღირსეული ოსტატია, მისთვის ისეთივე მაღალი მოქალაქეობრივი მოწოდება უნდა იყოს მომავალ ცვლაზე, შეგირდებზე ზრუნვა, მათი ყველაფერი უნდა აწუხებდეს და აღელვებდეს — განათლება, პირადი ცხოვრება, მატერიალური მდგომარეობაც, ჭირიც და ლხინიც.

ახალგაზრდები კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის უფროსის ვახტანგ კალოიანის ყურადღებას ყოველ წუთს გრძნობენ, რადგან ბატონი ვახტანგი ფიქრობს, რომ თუ არ იმეცადინე, გულმოდგინედ არ ისწავლე, სხვაგვარად ნამდვილი სპეციალისტი ვერ გახდები.

აი, ამიტომაც გულიანად შრომობენ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები გიორგი მაზიაშვილი, გიგა გრიგოლაშვილი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ნიკა ფერაძე, გიორგი კორკოტაშვილი.

ბიჭები დიდ პატივს სცემენ განყოფილების ყველა თანამშრომელს და მათ თავიანთ მასწავლებლებად მიიჩნევენ.

სტუდენტების წარმატებული საქმიანობა კი გარკვეულწილად მათს სახელს უკავშირდება. აქაურმა ექიმებმა ახალგაზრდებს მუშაობის ოპტიმალური პირობები შეუქმნეს.

თბილები, ყურადღებიანები პაციენტებსაც ხიბლავენ თავიანთი უშუალობით, გულისხმიერებითა და უბრალოებით. ისინი რეანიმაციის განყოფილებაში ექთნებად მუშაობენ. კარგ პრაქტიკასთან ერთად აქ მუშაობას ხელფასიც განაპირობებს.

ბიჭები ყოველ ოთხ დღეში ერთხელ ერთმანეთს ცვლიან და ყველა ავადმყოფის სიცოცხლისკენ შემობრუნება მათ კიდევ ერთ მოგებულ ბრძოლად მიაჩნიათ.

ეს ბიჭები აქ აგვისტოს ომის დროს მოვიდნენ. — თითქმის 24-საათიანი პრაქტიკა გვქონდა, — მეუბნებიან ისინი, მუხლჩაუხრელად ვშრომობდით, ძლივს ავუდიოდით მძიმედ დაჭრილების მიღებას და მაშინ მივხვდით, რომ ოდნავ მოდუნების ან შეცდომის უფლება არ გვქონდა.

უამრავი ადამიანის სიცოცხლე გამოსტაცეს სიკვდილს იმ დღეებში და პროფესიონალიზმისა და მამულიშვილობის გამოცდა ფრიადზე ჩააბარეს.

— თუ ავადმყოფი არ გიყვარს, ნამდვილი ექიმი ვერ გახდები. — ეს ჭეშმარიტება უკვე კარგად გაითავისეს მათ და ამიტომაც ემადლიერებიან ავადმყოფის პატრონები. არაფერს თაკილობენ, პულტთანაც დგანან, ნემსსაც აკეთებენ, ჭრილობებსაც ამუშავებენ და სანიტრის მოვალეობასაც გულმოდგინედ ასრულებენ.



...უნივერსიტეტში კონკურსში გაიმარჯვა გიორგი მაზიაშვილმა და ერთი თვე გერმანიაში ქემნიცის კლინიკაში გაიარა პრაქტიკა, ეს გახლავთ ლაიფციგისა და დრეზდენის საუნივერსიტეტო კლინიკა. — თან გვყვებოდნენ, — მეუბნება გიორგი. იქ ვიგრძენი, რომ მედიცინის სფერო ტყუილად არ ამირჩევია. სულ გვერდში ვედექით ექიმებს. თუ ვერ გააკეთებ, ვერ ისწავლი. მოდი, გააკეთე, მეუბნებოდნენ იქაური ექიმები, მათი ძალიან მადლობელი ვარ. როგორც კი დავამთავრებ უნივერსიტეტს, გერმანიაში წავალ და ნულიდან რომ დამჭირდეს დაწყება, მაინც იქ გავაგრძელებ საქმიანობას. გიორგის ძალიან უნდა, ფსიქიატრი გამოვიდეს. — ეს არის ჩემი უსაყვარლესი პროფესორის ნინო ოკრიბელაშვილის დამსახურება. ვნახოთ, იქნებ რეანიმაციას არც ვუღალატო.

ბიჭებმა ისიც გამიმხილეს, რომ გიორგის მომზადებულ საჭმელებს ხშირად აგემოვნებენ. მას, თურმე, მზარეულობის ნიჭიც ჰქონია, — ესეც ხომ შემოქმედებაა, — იღიმება გიორგი, ვცდილობ, ახალ-ახალი, ლამაზი და გემრიელი კერძი თავად მოვიგონო.

გიგა გრიგალაშვილი კი უკვე განთქმული მოცეკვავე გახლავთ, ლაგოდეხის ქორეოგრაფიული ანსამბლის ცნობილი სოლისტი, ბევრი ფესტივალის ლაურეატი, საინტერესო მხატვარი. ფიქრობს, სწავლა მაინც გერმანიაში გააგრძელოს და მომავალში ანესთეზიოლოგობას აპირებს. ის პროფესიის არჩევას ნიკო ქარცივაძეს უმადლის.

— ბატონი ნიკო ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ანესთეზიოლოგიური განყოფილების გამგეა, რესპუბლიკურში მუშაობს და ბევრი რამ მასწავლა, დიდი მადლიერი ვარ მისი.

ვუსმენდი ამ ყმაწვილებს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ნიჭს ყველა დარგში სჭირდება გზის გამკვლევი.

— დღეს ექიმსაც უჭირს და ავადმყოფსაც. თუ, როგორც ამბობენ, ექიმსა და ავადმყოფს შორის ოდითგანვე გადებული ხიდი მართლა ჩატყდა, მის გამთლიანებაზე უნდა ვიზრუნოთ, გაჭირვებული ადამიანები არ უნდა მივატოვოთ... განა შეიძლება ქართველი კაცის კოდირება იმაზე, რომ თუ საშუალება არ გაქვს, სიკვდილისთვის ხარ განწირული? ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან. თუ ეს მოხდა, მაშასადამე ქართველობის საქმე წასული ყოფილა და ეგ არის... თუ ხელიდან რამე გამომდის, არავის არ უნდა დავამადლო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავკარგოთ ის მეგობრული, ნათესაური თუ მეზობლური ურთიერთობები, ასე რომ გამოგვარჩევს სხვა ხალხებისგან, ის თანადგომის, ურთიერთგატანის თვისებები, თაობიდან თაობას რომ გადასცემდნენ ჩვენი წინაპრები, — მეუბნება გიორგი მაზიაშვილი.

— ამან არ გადაგვარჩინა და ამან არ გადაგვატანინა ამდენი უბედურება და ქარტეხილი?! — აგრძელებს გიგა გრიგალაშვილი — ერთი ავადმყოფი არ გადაიხდის მკურნალობის საფასურს? რა ვუყოთ, მეორე, მესამე გადაიხდის...

მათი საქმიანობის კრედოდ ქცეული ამ ჭეშმარიტებით ხელმძღვანელობენ ეს ბიჭები და ამიტომაც უყვართ ასე ავადმყოფებს.

აი, ასეთი მომავალი მოდის მედიცინაში და ეს რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების ექიმების დამსახურებაცაა. ვინც უგულოდ ეკიდება საქმეს, ვინც მხოლოდ საკუთარი სამეცნიერო თუ შემოქმედებითი მუშაობით იფარგლება და სხვა ყველაფრის მიმართ გულგრილია, იგი, რა თქმა უნდა, ვერ მოახერხებს თავისი შემცვლელის აღზრდას და ამ ცალმხრივობით მომავლის წინაშე სცოდავს და საკუთარ ღვაწლსაც საშიშროებას უქმნის, რაკი ისეთ ღირსეულ შეგირდს არ ტოვებს, ვინც მერე მისი გზა უნდა გააგრძელოს.

გვჯერა, გიორგი მაზიაშვილი, გიგა გრიგალაშვილი, ნიკა ფერაძე, გიორგი კორკოტაშვილი ღირსეული მასწავლებლების ღირსეული საქმის გამგრძელებლები იქნებიან.

**მარადი ანასაშვილი.**

**სურათზე: (მარცხნიდან): ნიკა ფერაძე, გიგა გრიგალაშვილი, გიორგი მაზიაშვილი და გიორგი კორკოტაშვილი.**

**მურად ალაშვილის ფოტო.**

## პოეზია

### ნანა ღვინეფაძე

# სიხარული

**ერთი წლის ელისაბედს — მანანა (მანჩო) დულარიძისა და სესე ღვინეფაძის მესამე ასულს — მარიამის და ნინის დაიკოს**

თებერვალი დაიღალა,
ჩადგა ქარის ქურანი;
თოვლმაც კალთა აიკრიფა,
გაიქროლა ბურანი.

დატრიალდა სურნელება
შენთვის უცხო, ახალი!
გაზაფხული თვალებს იფშვნეტს
როგორც მზეთუნახავი!

ენძელებმა ფურისულებს
შეუთვალეს ხალამი, —
გახალისდნენ, გადაიძვრეს
თოვლის თეთრი ხაბანი.

ნაკადულიც არაკრაკდა, —
თქვა სიმღერა ახალი,
გაზაფხული თვალებს იფშვნეტს
როგორც მზეთუნახვი!

2010 წ. თებერვლის მიწურული

## ინფორმაცია

### მოითხოვენ კიბოს პრევენციისა და მკურნალობის პროგრამის დაფინანსებას

**„ქრისტიან-დემოკრატები“ სახელმწიფოსგან ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის დაფინანსების გაზრდას მოითხოვს.**

**როგორც პარტიის წარმომადგენელმა მაგდა ანიკაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ონკოლოგია ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება მოსახლეობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უკვე აფინანსებს ამ სახის დაავადებების მკურნალობას პირველ და მეორე სტადიაზე.**

**— „ქრისტიან-დემოკრატებს“ შემუშავებული აქვთ პროექტი, თუ რა ზომების გატარებაა საჭირო აღნიშნული პრობლემის გამოსასწორებლად, — განაცხადა ანიკაშვილმა.**

### ასუფთავებენ გუდაურს



**„პოლიეთილენის პაკეტი ბუნების მტერია“, — ამ სახელწოდებით გუდაურში დასუფთავების აქცია გაიმართა.**

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გოგა ხაჩიძის ამ ინიციატივას გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ-ცენტრალური ბიუროს თანამშრომლები, მწვანე კლუბის წევრები და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები გამოეხმაურნენ და აქციაში მონაწილეობა მიიღეს.**

**მინისტრი მსგავს აქციებში მონაწილეობის მიღებისკენ ყველა მოქალაქეს მოუწოდებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ატლეტიზმი

# ჩემპიონი კონსულად დაინიშნა

**ამას წინათ ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქმა ბორდენთაუნმა, ტრადიციულად, ატლეტიზმის მსოფლიო პირად-გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლა. შეჯიბრებაში ექვსი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. საქართველოს ნაკრები ამჯერად სრული შემადგენლობით გაემგზავრა ოკეანის გაღმა და უწინდელივით უხვი ნადავლით დახუნძლული დაბრუნდა შინ. ჩვენმა ატლეტებმა ბორდენთაუნში 10 ოქროს, ორი ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.**



75 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლევან გილიგაშვილმა წოლჭიმში სამჯერ გააუმჯობესა მსოფლიო მიღწევა და ისე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ორი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ლევან ციციშვილმა (90 კგ). მან ჯერ ახალგაზრდებს აჯობა წოლჭიმში, შემდეგ კი ბიცეპსებით წონის აწევაში (97 კგ. – მსოფლიო რეკორდი) დაჯაბნა უფროსები. ნიკოლოზ ვეფხვაძემ (100 კგ) წოლჭიმში ოქრო დაიმსახურა, ბიცეპსებით კი „ვერცხლი“ ხვდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: გელა გელაშვილი (100 კგ. ბიცეპსებით), თეიმურაზ ლუტიძე (110 კგ. წოლჭიმი), ავთანდილ მამალაძე (125 კგ. წოლჭიმი), გერონტი ჯმუხაძე (ზემძიმე. ბიცეპსებით). ზემძიმე წონაში სამივე სინჯი მედალი ჭოლჭიმში ქართველებს ერგოთ: 1. რამაზ თარაშვილი, 2. გერონტი ჯმუხაძე, 3. ნიკოლოზ სარალიძე. მეათე ოქროს მედალი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ჭავჭანიძემ (ზემძიმე წონა) ვეტერანთა შორის მოიპოვა.

ჩვენი ნაკრების წევრებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის იყო, რომ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს თასის მფლობელი ნიკოლოზ ვეფხვაძე ნიუ-იორკში საქართველოს კონსულად დაინიშნა.

მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნებულ ქართველ ატლეტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ სავარჯიშოდ ახალი კომფორტული დარბაზი დაახვედრა.

როგორც ზურაბ ჭავჭანიძემ გვითხრა, არ არის გამორიცხული, რომ ატლეტიზმში 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონატს თბილისმა უმასპინძლოს. ყოველ შემთხვევაში, სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაცია თანახმაა და მალე საშეჯიბროდ უახლეს ინვენტარს უსასყიდლოდ გამოგზავნის.

კალათბურთი

# პლუს ორი



**ოთხშაბათის რაუნდის შემდეგ ევროლიგის მეოთხედფინალისტთა რიგებს მადრიდის „რეალი“ და თელ-ავივის „მაქაბი“ შეემატნენ.**

საამისოდ „სამეფო კლუბს“ დიდი ბრძოლა სტამბოლში გადახდა, სადაც „ეფეს პილსენს“ სძლია – 77:75. შესვენებამდე ესპანელები სოლიდური უპირატესობით რეიესმა, სერხიო ლულმა და გარბახოსამ დააწინაურეს – 44:29, თუმცა მატჩის მეორე ნახევარში მასპინძლებმა თამაში მკვეთრად გამოასწორეს და კინაღამ იხსნეს შეხვედრა.

რაც შეეხება პინი გერშონის გუნდს, მან ისრაელის დედაქალაქის „ნოკია ცენტრში“ გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი სიენას „მონტეპასკი“ დაჯაბნა – 97:82. შეგახსენებთ, რომ იტალიელები აქამდე შესანიშნავი დაცვით გამოირჩეოდნენ. სხვათა შორის, სტონრუკმა და კომპანიამ ამჯერადაც საიმედოდ გადაკეტა საკუთარი კალათისკენ მიმავალი გზები, ოღონდ მხოლოდ სამი პერიოდის განმავლობაში. აი, დასკვნით მეოთხედში კი ებრაელებმა აიწყვიტეს და ერთბაშად 43 (!) ქულა მოაგროვეს. სტუმართა რზევაში განსაკუთრებული წვლილი ანდერსონმა (24 ქულა) და პერკინსმა (14 ქულა) შეიტანეს.

**იმავე დღეს ორივე ბერძნულმა გრანდმა ივაჟკაცა:** „ოლიმპიაკოსი“ – „ტაუგრესი“ 102:85, „პარტიზანი“ – „პანათინაიკოსი“ 66:82, მაგრამ თუ პირეოსელთა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება არავის გაკვირვებია, მათ თანამემამულეთა მოგებას მხოლოდ მორალური მნიშვნელობა ჰქონდა – მოგეხსენებათ, აქამდე „პაომ“ ყველა დუელი დათმო.

პროფესიული კრივი

# ცამეტიდან – ცამეტი



**მძიმე წონის მოკრივე იაგო კილაძე (სიმაღლე 192 სმ) 23 წლისაა. დიდი ხანი არაა, რაც პროფესიულ რინგზე გადაინაცვლა, თუმცა WBC-ის ვერსიით საკონტინენტთაშორისო ახალგაზრდული ტიტულის მოპოვება მოასწრო. ამას წინათ მან მეცამეტე გამარჯვება მოიპოვა – დონეცკში გერმანელ მათიას ზანდოვს შეხვდა და მე-2 რაუნდში ნოკაუტით მოუგო.**

ჭადრაკი

## სათამაშო დღეს ჩაიწყება

**ხორვატეთის ქალაქ რიეკაში დღეს იწყება მოჭადრაკე ქალვაჟთა ევროპის ჩემპიონატები, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის 600-მდე წარმომადგენელი იასპარეზებს. საქართველოს სპორტულ ღირსებას კონტინენტის პირველობაზე 25 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი დაიცავს.** ესენი არიან: ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სალომე მელია, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, ბელა ხოტენაშვილი, ქეთი წაწალაშვილი, მერი არაბიძე, სოფიო გვეტაძე, ინგა ჭარხალაშვილი, ნაზი პაიკიძე, მაკა ფურცელაძე, სოფიო გურამიშვილი, მარიამ დანელია; ბაადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი, თამაზ გელაშვილი, დავით არუთინიანი, ლევან ფანცულაია, თორნიკე სანიკიძე, მალხაზ სულაშვილი, შოთა აზალაძე, ბაჩანა მორჩიაშვილი, დავით ბენიძე და გაიოზ ნიგალიძე.



ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებს საკმაოდ სახელოვან მოჭადრაკეებთან მოუწევთ დაპირისპირება. მათ შორის უპირველესად უნდა გამოვყოთ კონტინენტის სხვადასხვა დროის ჩემპიონები – ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), ნატალია ჟუკოვა (უკრაინა), პია კრამლინგი (შვედეთი), ანტუანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ელმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი), ევგენი ტომაშევსკი (რუსეთი) და ემილ სუტოვსკი (ისრაელი), რომ არაფერი ვთქვათ მეორე-მესამე პრიზიორებზე. შეჯიბრება თერთმეტ დღეს გასტანს.

ინტერნეტიდან

## ჰიდინკზე ტაციაობაა?!



**ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, რომ რუსული ფეხბურთის ახალი თავკაცების მიერ დაწუნებული ჰოლანდიელი მწვრთნელი გუს ჰიდინკი ახლა, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ ძალზე დასჭირდა კოტ-დ'ივუარის ნაკრებს.** როგორც ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჟაკ ანუმა განაცხადა, იმედი აქვთ, რომ ჰიდინკი დათანხმდება, უხელმძღვანელოს „სპილოებს“ ჩემპიონატის დროს, სამოთხ სპეციალისტს შორის, ვისი კანდიდატურაც განიხილებოდა (მათ შორის სვენ-გორან ერიქსონიც ყოფილა), ჩვენ ვამჯობინეთ ჰოლანდიელი, – თქვა ფედერაციის თავკაცმა, – ალბათ საკითხი მომავალი კვირის შუაგულში გადაწყდება. ისიც ითქვა, რომ ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმა დიდიე დროგბას მეთაურობით, სთხოვეს ჰიდინკს, უხელმძღვანელოს მათ ნაკრებს.

## „რეალი“ – ყველაზე შემოსავლიანი

**უკვე მეხუთე წელია, მადრიდის სამეფო კლუბი „რეალი“ ითვლება მსოფლიოში ყველაზე შემოსავლიან კლუბად. კომპანიის „Deloitte“ გამოკვლევის თანახმად გუნდები ასე დალაგდნენ.**

1. **„რეალი“** (ესპანეთი) 401,4 მილიონი ევრო; 2. **„ბარსელონა“** (ესპანეთი) – 365,9 მლნ. 3. **„მანჩესტერ იუნაიტედი“** (ინგლისი) – 327 მლნ; 4. **„ბავარია“** (გერმანია) – 289,5 მლნ. 5. **„არსენალი“** (ინგლისი) – 263 მლნ. 6. **„ჩელსი“** (ინგლისი) – 242,3 მლნ. 7. **„ლივერპული“** (ინგლისი) – 217 მლნ. 8. **„იუვენტუსი“** (იტალია) – 202,3 მლნ. 9. **„ინტერი“** (იტალია) – 196,5 მილ. 10. **„მილანი“** (იტალია) – 166,5 მლნ.

## ვინ დატოვებს პოსტებს?

**როგორც უკვე ვწერდით (03.03.2010), რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მოითხოვა, რომ თანამდებობიდან წასვლაზე განცხადებები დაწერონ იმ მაღალი რანგის სპორტულმა ჩინოვნიკებმა, ვინც ვერ უზრუნველყო ვანკუვერში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის ნაკრების სათანადო გამოსვლა. როგორც ცნობილია, ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლებით, რუსეთი გამარჯვებულთა პირველ ათეულშიც კი ვერ მოხვდა.**

თუმცა რუსეთის პრეზიდენტს კონკრეტული გვარები არ დაუსახელებია, მაგრამ ყველა ხვდება, რომ ლაპარაკია სპორტის მინისტრზე ვიტალი მუტკოზე, რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტზე ლეონიდ ტიაგაჩევზე, სპორტის ზამთრის ოლიმპიური სახეობების ფედერაციების და ნაკრებების თავკაცებზე. მართალია, ბევრი მათგანი ცდილობს, დანაშაული სხვას გადააბრალოს. მაგრამ მედვედევმა ისიც შენიშნა, რომ თუ მათ ასეთი ვაჟკაცური ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლიათ, ჩვენ დავეხმარებითო.

და აი, ცნობილი გახდა, რომ გადადგომის შესახებ განცხადება უკვე დაწერა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა. თუმცა მან ისიც განაცხადა, რომ თითქოს ოლიმპიური კომიტეტი პასუხს არ აგებს სპორტსმენების მომზადებაზე და მაინც ყველას ბრალს თავის თავზე იღებს.

ტიაგაჩევი ოლიმპიურ კომიტეტს 2001 წლიდან edგა სათავეში.

რაც შეეხება დანარჩენ ჩინოვნიკებს, მათ გადაწყვეტილების მისაღებად ერთი კვირა აქვთ მიცემული.

ამავე დროს პრეზიდენტმა დ. მედვედევმა მთავრობას დაავალა – საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უახლოეს ხანში მოამზადონ წინადადებები რუსეთის სპორტის მართვის სისტემის რეფორმირებაზე.

## ბოდიბილდინგმა გაიტაცა



**ყოფილმა სიმაღლეზე მხტომელმა ერინ სტერნმა თავისთვის ახალი მოწოდება აღმოაჩინა. ქალიშვილმა ვარჯიში დაიწყო ბოდიბილდინგში და ახლა უკვე ითვლება ფიტნესის ამომავალ ვარსკვლავად – შარშან მეექვსე ადგილი დაიკავა „მის ოლიმპიას“ კონკურსში.**

ახლა კი მონაწილეობს 5-7 მარტს კოლამბუსში მიმდინარე სპორტულ ფესტივალში და შესაძლოა, უფრო მეტი წარმატება მოიპოვოს, ვიდრე მძლეოსნობაში.

ეს შეჯიბრება დაფუძნებულია 1988 წელს არნოლდ შვარცენეგერის მიერ დაარსებულ კონკურსზე Arnold Chassic და ახლა ის ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. მასზე წარმოდგენილი იქნება სპორტის 30-ზე მეტი სახეობა. ლამაზმანი სწორედ ერთ-ერთ მათგანში აპირებს გამარჯვებას.

დაჯილდოება

# ზნეობის ზეიმი

**ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში ჟურნალ „ხელეურის“ რეზო ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვეს. სამი პრემია იყო დაწესებული: პირველ ადგილზე გავიდა ლაშა გვასალია (მოთხრობა „სასაფლაო“) – 500 ლარი, მეორეზე – თემურ აბულაშვილი („მეწისქვილის ბიჭი და სახედარი“) – 300, ხოლო მესამეზე – ირაკლი ლომოური („ბუტუნდა“) – 150 ლარი.**

„ამ დარბაზში ჩვენმა სულმნათმა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა შეგვკრიბა, – აღნიშნა ჟურნალ „ხელეურის“ მთავარმა რედაქტორმა თამარ შაიშმელაშვილმა, – შეიძლება ბევრი ჯერ არ იცნობდეს ჟურნალ „ხელეურს“, რადგან სხვა გამოცემებივით განებივრებული არ ვართ დიდი ტირაჟითა და სახსრებით, მაგრამ ლიტერატურის სიყვარული ყველასა და ყველაფერზე მაღლა დგას. ამ პრემიის დაწესება ჩვენთვის საპატიო და საპასუხისმგებლოა. კონკურსის მიზანი, უპირველესად, მწერლების წახალისებაა (მოგეხსენებათ, როგორი ცხოვრებაა დღეს, როგორ უჭირთ მათ), – იმავდროულად – ლიტერატურის პოპულარიზაცია, ნიჭიერი მწერლების გამოვლენა. ჩემი აზრით, ყველა შემოქმედისთვის სანატრელია რეზო ინანიშვილის პრემია, რადგან იგი არა მხოლოდ დიდებული შემოქმედი, არამედ – მაღალზნეობრივი ადამიანიც იყო.“

კონკურსში 50-ზე მეტი მწერალი მონაწილეობდა. თითქმის მთელი საქართველო ჩაერთო. ნაშრომები გამოაგზავნეს თბილისიდან, ბორჯომიდან, ფოთიდან, გორიდან, ახალციხიდან, ხობიდან, მცხეთიდან, საგარეჯოდან, თეთრიწყაროდან...

ჟიურის თავმჯდომარემ დოდო ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ ერთიმეორეზე უკეთესი ნაწარმოებები შემოვიდა, რაც ცხადყოფს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდობა მოდის.

„ხელეურმა“ სპეციალური პრიზებიც დააწესა. ჟურნალის მეგობარმა მხატვრებმა რედაქციას საჩუქრად ნახატები გადასცეს იმ მონაწილეებისათვის, რომლებიც სამეულში ვერ მოხვდნენ. ცნობილი მხატვრის, რეზო (ემელიანე) ადამიას ნახატები გადაეცათ: **ნინო ქოქოსაძეს, მამუკა ვაშაკიძეს, ღვთისო ბიკაშვილის** ნახატებით კი დაჯილდოვდნენ: **ფიქრია ყუშიტაშვილი, ლინა ბარათაშვილი.** კონკურსის დებიუტანტ მონაწილეს, 16 წლის **ბარბარე ასანიძეს** გადაეცა რევაზ ინანიშვილის მოთხრობების კრებული.



„ხელეურის“ რედაქცია მალე გამოსცემს კრებულს, რომელშიც შევა კონკურსის მონაწილეთა ნაწარმოებები. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის გამომცემელი იულონ ტოლიაშვილი ძალისხმევას არ იშურებს ამ საქმის აღსრულებისთვის.

გამარჯვებულებს მიესალმნენ: მანანა ჩიტიშვილი, ელგუჯა ლებანიძე, რეზო ადამია, ირმა მალაციძე, რობერტ ცუცქირიძე, ივანე ჯაფარიძე, ვალერი გაბელია, მწერლის მეუღლე, ქალბატონი როზა ინანიშვილი.

**როზა ინანიშვილი:** მინდა გითხრათ, რომ ჟურნალ „ხელეურის“ დაარსებამ ძალიან გამახარა. რეზოს სახელობის პრემიის დაწესება კი ჩემთვის ორმაგი ბედნიერება იყო. ასეთი კონკურსები, შეხვედრები თუ წიგნის გამოცემები ისეთ შთაბეჭდილებას მიქმნის, თითქოს რეზო ისევ ცოცხალია...

წამოიჭრა ერთი პრობლემა – რუსთაველის პრემიის ლაურეატი მწერლის მშობლიურ სოფელ ხაშმში ინგრევა ის სახლი, სადაც იგი დაიბადა. – ვის აღარ მივმართე, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია, ამდენი წელია ერთი სპონსორი ვერ გამოიძებნა ვერც თბილისში და ვერც საგარეჯოში, – აღნიშნა როზა ინანიშვილმა. არადა, რევაზ ინანიშვილის მუზეუმის გახსნა, მართლაც, საშური საქმეა. საღამოს მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მზად არიან ამ საკითხის გადასაწყვეტად ხელი მოაწერონ წერილს და მიმართონ პარლამენტს, ასევე – საქართველოს პრეზიდენტს.

ბატონმა ივანე ჯაფარიძემ ამ დღეს ზნეობის ზეიმი უწოდა. შეკრებილთ ეროვნულ პრობლემებზეც იმსჯელეს. დღეს ქართული ენა საფრთხეშია, უამრავი სიბილწე ვრცელდება ტელევიზიებით, მედია-საშუალებებით. ჩვენი მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად დაუღალავი ბრძოლაა საჭირო. ასეთ ვითარებაში „ხელეურის“ ლიტერატურული კონკურსის ჩატარება მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეა. მადლობა ეკუთვნის ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციას, რომელიც ყველა ეროვნული და დიდი საქმისადმი თანადგომით გამოირჩევა.

**თინათინ ბორცვაძე**

**სურათზე: როზა ინანიშვილი და ლაშა გვასალია.**

**მურად ალაშვილის ფოტო.**

---

**შვილები ფრიდონ და დავით ინჯიები, რძლები ქეთინო რუხაია, ნაირა კვესელავა, შვილიშვილები ილია, ჯაბა, ლიკა, ხათუნა ინჯიები, სიძეები კახა კოტრიკაძე, მამუკა ბიჭაშვილი, შვილთაშვილები ლუკა, ალექსანდრე კოტრიკაძეები იუწყებიან**

**ტატიანა (ტატო) სილაგაძე-ინჯიას**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 III, ქ. თბილისი ქიაჩელის ქ. 9. 9, 10 III, მარტვილი. გამოსვენება: 11 III, 14 სთ. მარტვილის საკათედრო ტაძრიდან.**



---

**და თათუშა, დისწულები ჟოზეფინა, მზია, ემილ მიქაიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ტატიანა სილაგაძე-ინჯიასი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**შპს „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ადმინისტრაცია და ყველა თანამშრომელი თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ფრიდონ და დავით ინჯიების ოჯახებს დედის, ქალბატონ**

**ტატიანა (ტატო) სილაგაძე-ინჯიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ავთანდილ იაშვილი, კოტე სამუშია, ვახტანგ თოდუა, თემურ ლოლობერიძე, თემურ ბერიშვილი, თორნიკე აფაქიძე, ვახტანგ ამაშუკელი, პავლე გიორგობიანი, გენო შეროზია, რეზო სახოკია მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ფრიდონ და დავით ინჯიებს და მათ ოჯახებს დედის, ღირსეული პიროვნების, სამაგალითო დედის და ბებიის, ქალბატონ**

**ტატიანა (ტატო) სილაგაძე-ინჯიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**თენგიზ კალანდაძე იუწყება რომ გარდაიცვალა**

**ტატიანა სილაგაძე-ინჯია**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

**მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს ჟოზეფინა, მზია, ემილ მიქაიებს და მათი ოჯახის წევრებს დეიდის**

**ტატიანა სილაგაძე-ინჯიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ფრიდონ და დავით ინჯიებს დედის**

**ტატიანა სილაგაძე-ინჯიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**შპს „ივერიაქსელის“ ადმინისტრაცია და ყველა თანამშრომელი თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ ფრიდონ და დავით ინჯიების ოჯახებს დედის, ქალბატონ**

**ტატიანა (ტატო) სილაგაძე-ინჯიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

ხსოვნა

# რამაზ აბაშიძე



კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი დააკლდა დედაქალაქს. წავიდა ჩვენგან რამაზ აბაშიძე – კაცი, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის ოჯახსა და სამეგობროზე, კაცი, რომელშიც ულამაზესად იყო შერწყმული სულიერი სიმაღლე და ფიზიკური მომხიბვლელობა, კაცი, რომლის სალოცავი ხატი სამშობლო და მისი კეთილდღეობა იყო.

იგი გაიზარდა თბილისის ძველ უბანში პლეხანოვზე, დღეს რომ დიდი დავით აღმაშენებლის სახელს ატარებს. ადრე დაობლდა, მაგრამ დედის ზრუნვამ და ამაგმა სულით ხორცამდე თბილისელად დააავაჟკაცა. იგი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართველ კალათბურთელთა დიდი საქმოს ღირსება და სიამაყე გახლდათ. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიარა კაცობის დიდი სკოლა, ეზიარა მშენებელი ინჟინრის პროფესიას და წილად ხვდა პატივი, გამხდარიყო საქართველოში უდიდესი ახალგაზრდული ორგანიზაციის წინამძღოლი. აქ ჩაეყარა საფუძველი მის მეგობრობას სახელოვან მამულიშვილთან ჟიული შარტავასთან, რომლის გვერდით ღირსეულად განვლო ცხოვრებისეული გზა სოხუმის ტრაგედიის ბოლო დღემდე.

რამაზი ბუნებით იყო აღმშენებელი. იგი წლების მანძილზე ქვეყნის წამყვან სამრეწველო-აგრალურ გაერთიანებებს ედგა სათავეში. შესანიშნავი პროფესიონალი, ნიჭიერი ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე – ასე წარმოჩინდა რამაზ აბაშიძე ყველგან, სადაც კი მას უხდებოდა საქმიანობა. ქვეყნისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას მასში წესიერება და სიკეთე ედო საფუძვლად. იგი ვერ ეგუებოდა უსამართლობას და არასოდეს არსად არავის წინაშე მოუხრია ქედი. რამაზისთვის უზენაესი იყო პირად წყენაზე მაღლა დგომის უნარი. იგი ძმობაში ურთგულესი, მეგობრობაში თავდადებული და ახლობლებში კი გამორჩეული იყო. ქართულ მუხას გავდა რკინის გამძლეობით, უტეხელობითა და გამტანობით. იგი ჩინებული მეოჯახე გახლდათ, რომლის ქრისტიანული ცხოვრების წესი სამაგალითო იყო გარშემომყოფთათვის.

თავზარდამცემია რამაზ აბაშიძის გარდაცვალება მათთვის, ვინც იცნობდა მას და ვისაც ახალგაზრდობისა და ჭარმაგობის წლები მასთან ერთად გაუვლია. რამაზ აბაშიძის ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლით გაჩნდა დიდი სიცარიელე და მოუნელებელი სევდა. ჩვენს სამეგობროს მოაკლდა მისი სიკეთით სავსე ღიმილი, სითბო, იუმორი, თანადგომა, რომელიც ასე ალამაზებდა და აქლიერებდა ჩვენს ყოფას. ვერ გაუძლო გულმა, რომელმაც სიყვარულის გარდა არაფერი იცოდა.

მშვიდობით რამაზ. ღმერთმა მიგიჩინოს მყუდრო სავანე წმინდა სასუფეველში.

**ბაკურ გულუა, მერაბ თევზაძე, თემურ თოფურიძე, ანზორ კვარაცხელია, ჯემალ კუხალაშვილი, ნიკო ლეკიშვილი, მურთაზ მამისეიშვილი, მერაბ მაღრაძე, გოგი მჟავანაძე, ზურაბ ნაკაიძე, შალვა ნაჭყებია, დიტო ტყეშელაშვილი, გრიგოლ შონია, ვაჟა შუბლაძე, ნიკო ჩხაიძე, გოგი ციბაძე, ოთარ წეროძე.**

---

**70-იანი წლების „გეპეელები“ გია მახარაძე, თემურ ხარებავა, ზურაბ ერქვანია, თემურ კვარაცხელია, გოდერძი ბუკია, ლეილა გრძელიძე, გურამ ახალაია ოჯახებით იუწყებიან მეგობრობაში, თანადგომაში, ერთგულებაში ულალატო და კიდევ სხვა არაერთი ღირსებით გამორჩეული ნაღდი თბილისელის**

**რამაზ აბაშიძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ მეგობარსა და კოლეგას გურამ (კოია) გომართელს ძმის**

**გია გიორგის ძე გომართელის**

**გარდაცვალების გამო.**

---

მშვიდობით, კოლეგავ!

# გოგი ჩოჩიშვილი



**გუშინ მოგვიანებით გავიგეთ მისი სიკვდილი და უცებ დავწერეთ ერთი-ორი გამოსათხოვარი სიტყვა...**

**უპატრონოდ გარდაცვლილა, ულვთოდ გარდაცვლილა ჩვენი უნიჭიერესი ძმა და კოლეგა გიორგი ჩოჩიშვილი – ჩვენი პრესისა და ტელევიზიის გამორჩეული ჟურნალისტი...**

**გიორგი ჩოჩიშვილის წერილები გაზეთ „ლელოში“, მოგვიანებით „დრონში“, სადაც იგი, ერთი ხანობა, რედაქტორიც კი იყო, მკითხველს მაღალი პროფესიონალიზმით მოუთხრობდა არეულ-დარეული სამშობლოს ყოველდღიურობაზე... მოგვიანებით იყო და, გიორგი ჩოჩიშვილი საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე რედაქტორობდა შესანიშნავ გადაცემას „საუკუნის პორტრეტები“.**

**ეეეე... მისი პორტრეტი როგორიღა დარჩა?..**

**ბედუკუღმართი სამშობლოს ყოველდღიურობით დაღლილი, ძმათა ქიშპობით გულდათუთქული, ხშირად ბახუსში მყოფი, საქართველოს უკეთეს დღეებს რომ ნატრობდა თვალცრემლიანი...**

**ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო „ჩოჩია“!**

*„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით –*

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და აღმასკომის წევრი**

**გიორგი ჩოჩიშვილი**

**და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის მიმართულება თანაუგრძნობს ამავე მიმართულების სრულ პროფესორს ზურაბ ჩხაიძეს**

**მამის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის სამეურნეო ნაწილის გამგე**

**მიშა ჯანაშვილი**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### კანტი მშობლიურ ქალაქს არ მოსცილებია

**ჰაინრიხ ჰაინემ იხუმრა: „იმანუილ კანტის ცხოვრების ისტორიაზე ლაპარაკი ძნელია, რადგან მას არც ცხოვრება ჰქონია და არც ისტორია“. ჩაითვალა, რომ მან სწორი თქვა. იმანუილ კანტს, პრუსიის ქალაქ კიონიგსბერგის (დღეს რომ კალინინგრადი ჰქვიაძ მკვიდრს, თითქმის მთელი სიცოცხლის მანძილზე (1724-1804ძ იგი არ დაუტოვებია.** მისი ცხოვრება გარეგნულად თითქოს უმნიშვნელო ამბებისგან შედგებოდა: დაიბადა ხელოსნის ოჯახში, სკოლაში კარგად სწავლობდა, ბევრი იავადმყოფა, მეტისმეტად ცნობისმოყვარე იყო. გატაცებული იყო ბუნებისმეტყველებით, ანტიკური ფილოსოფიით და მედიცინით. დაამთავრა კიონიგსბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტი, 10 წელიწადი „საშინაო“ მასწავლებელი იყო, შემდეგ კი სიცოცხლის ბოლომდე უნივერსიტეტში ასწავლიდა.

ასე რომ, ჰაინეს ხუმრობისთვის ერთგვარი საფუძველი ჰქონდა.

### სამი სიბრძნე



**იმანუილ კანტს უამრავი ბრძნული გამოთქმა ეკუთვნის. აი, მაგალითად, სამი მათგანი:**

— სისულელე, ეს ისეთი ნაკლია, რომელსაც ვერავითარი წამალი ვერ არჩენს.

— გენიოსობა — ეს იმის შექმნის ტალანტია, რომელსაც ვერც ასწავლი და ვერც ისწავლი.

— საკუთარ შინაგან რწმენაზე უარის თქმა ძალიან ულირსი საქციელია.

### საკუთარი ნაშრომი ასე შეაფასა

**როდესაც კანტის ნაშრომი „წმინდა გონების კრიტიკა“ გამოქვეყნდა, მკითხველები მას ძალზე თავშეკავებულად შეხვდნენ, ბევრმა კი ძნელად გასაგებად ჩათვალა.**

აი, რა თქვა თვით ავტორმა:

— წიგნი ძალზე მშრალია, ბუნდოვანი, ეწინააღმდეგება ყველა აღიარებულ გაგებას და ამასთან ერთად, მეტისმეტად ვრცელია.

### გოეთეს საუბრიდან ეკერმანთან



**უკვე საკმაოდ ხანდაზმულმა გოეთემ ეკერმანთან საუბარში თქვა: „წარმოიდგინეთ პარიზი არა ამ მოსაწყენ ეპოქაში (იგულისხმება XIX ს. 20-იანი წლებიძ, არამედ XVII საუკუნეში, როცა სამი ადამიანური თაობის მანძილზე ... მოლიერმა, ვოლტერმა, დიდრომ აამოძრავეს ისეთი სულიერი სიმდიდრეები, როგორც არსად სხვა ადგილას მთელი დედამიწის ზურგზე“.**

მოლიერზე თუ ვილაპარაკებთ, გავიხსენოთ ფრანსუა რენე დე შატობრიანის სიტყვებიც: „კომედიების ავტორთა შორის მხოლოდ მოლიერი უნდა დავაყენო სოფოკლესა და კორნელის გვერდით. ამასთან საყურადღებოა, რომ კომიკური „ტარტიუფისა“ და „მიზანთროპში“ თავისი სიღრმითა და, მინდა გაბედულად ვთქვა, სევდით უახლოვდება ტრაგედიის სიმკაცრეს“.

### „ავადმყოფი“ და „ჯანსაღი“ ტალანტი

**თომას მანი შილერს იდეალისტად თვლიდა, რომელიც ცხოვრებას ისეთად კი არ ილებდა, როგორიც ის სინამდვილეში იყო, არამედ ხშირად აღტაცებით წარმოსახავდა.** ამიტომ, მანის სიტყვით, შილერი „ავადმყოფი ტალანტი“ იყო, „ყაჩაღების“ ავტორი კი „ჯანსაღ ტალანტს“ — გოეთეს უპირისპირდებოდა. ბევრი რამის გათვალისწინებით, როგორც თვლიდა XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, შილერიდან პირდაპირი გზა დოსტოევსკისკენ მიდიოდა, გოეთედან კი ლევ ტოლსტოიმდე.

### ავტორი პრემიერას ინკოგნიტოდ დაესწრო

**ფრიდრიხ შილერმა, მაშინ, როცა მას არავინ იცნობდა, საკუთარი ხარჯით 800 ეგზემპლარად დაბეჭდა ტრაგედია „ყაჩაღები“, ტირანების წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოები. იგი დასადგმელად მანჰაიმის თეატრმა მიიღო.** ავტორი, რომელიც დარწმუნებული არ იყო „ყაჩაღების“ წარმატებაში, წარმოდგენას ინკოგნიტოდ დაესწრო. იგი აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლების საყოველთაო აღფრთოვანებამ და მსახიობების დიდებულმა თამაშმა. აი, რას წერდა შილერი: „პარტერი საგიჟეთს დაემსგავსა... მბრწყინავი თვალები, შეკრული მუშტები, ხმაური, შეძახილები! უცნობი ადამიანები ტიროდნენ და ერთმანეთს ეხვეოდნენ“.

მომდევნო წლებში (დაიდგა 1781 წელსძ და საუკუნეებში აღტაცება „ყაჩაღებისადმი“ ოდნავადაც არ განელებულა. და როგორ უყვარდათ იგი საქართველოში!

მოამზადა
გივი
გამრეკელმა

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +4 — +14 |
| ქუთაისი. | +5 — +18 |
| ბათუმი. | +6 — +12 |
| ზუგდიდი. | +3 — +14 |
| თელავი. | +5 — +13 |

## დღის კალენდარი

### 6 მარტი





ამოდის 06.28
ჩადის 17.57

ამოდის 21.37
ჩადის 09.17

**მიცვალებულთა ხსენება. ღირსისა ტიმოთე სიმვოლელისა (795ძ; ევტათისი, ანტიოქიელი მთავარეპისკოპოსისა (337ძ; გიორგისი, ამასტრიდელი ეპისკოპოსისა (805ძ; იოანე სქოლასტიკოსისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (577ძ; ნეტარისა ზაქარიასი, იერუსალიმელი პატრიარქისა (632X633ძ; ღირსთა ანდრიასი და ანატოლისა, იერუ სალიმელთა (Vძ; მაქსიმიანოსისა, რავენელი მთავარეპისკოპოსისა (556ძ.**

### დაიბადნენ:

**1475 — მიქელანჯელო ბუონაროტი,** იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი და არქიტექტორი. გარდაიცვალა 1564 წელს.

**1619 — სირანო დე ბერჟერაკი,** ფრანგი პროზაიკოსი და დრამატურგი. გარდაიცვალა 1655 წელს.

**1874 — ნიკოლაი ბერდიაევი,** რუსი ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1948 წელს.

**1889 — ცაცა ამირეჯიბი,** ცნობილი მსახიობი. გარდაიცვალა 1963 წელს.

**1937 — ვალენტინა ტერეშკოვა,** პირველი რუსი კოსმონავტი ქალი.

### გარდაიცვალნენ:

**1900 — გოტლიბ დაიმლერი,** გერმანელი ინჟინერი, ძრავების სპეციალისტი და მოტოციკლის გამომგონებელი.

**1916 — ვასილი სურიკოვი,** რუსი ფერმწერი, ისტორიული ჟანრის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

### მოვლენები:

**1899** — ქიმიკოსმა ფელიქს ჰოფმანმა დააპატენტა ასპირინი.

**1953** — სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ გარდაცვლილი იოსებ სტალინის ნაცვლად დაინიშნა გიორგი მალენკოვი.

მედიანიუსი

**2010 წლის 26 აპრილს, 13 საათზე, ქ. საგარეჯოში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შენობაში, გაიმართება შპს „ქართული აგურის“ კუთვნილი აგურის საწარმოს (საგარეჯო, სოფ. გიორგიწმინდაძ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.**

**დაგეგმილი საქმიანობის მიზანია აგურის წარმოება.**

**დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:**

— საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6.

— შპს „ქართული აგური“, საგარეჯო, სოფ. გიორგიწმინდა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: **შპს „ქართული აგური“, საგარეჯო, სოფ. გიორგიწმინდა.**

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**ხორციელდება კელოგ ბრაუნ ენდ რუთ ინქის საქართველოს ფილიალის (რეგისტრირებული 09.10.2002 წ., საიდენტიფიკაციო ნომერი №206120829, იურიდიული მისამართი: ისნის რაიონი, აეროპორტის დასახლება, აეროპორტი, თბილისი, საქართველოძ ლიკვიდაცია. დაინტერესებულმა პირებმა და კრედიტორებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №6, მწვანე შენობა, ტელ: 24-30-30, 24-30-31.**

*უფლება მისილი პირი გიორგი ბახუტაშვილი*

## ანეკდოტები

**— ალო, ივან! ჩემი ცოლი დაორსულდა.**

**— მერე მე რას მეტაკე ასე უცებ? იმ დღეს საერთოდ არ ვყოფილვარ ქალაქში...**

* * *

**— მამი, რა არის ვირტუალურობა? — ეკითხება პეტკა ივანიჩს.**

**— როგორ აგიხსნა, შვილო. აი, დედაშენს ვკითხოთ.**

**— დაშა, ათას დოლარად ჩაუგორდებოდი ვინმეს საწოლში?**

**— კი.**

**— შენ დანებდები ვინმეს ათას დოლარად? — ახლა ქალიშვილს ჰკითხა მამამ.**

**— კი.**

**— შენც იზამდი ამას ათას დოლარად? — ახლა ბაბუას ჰკითხა ივანიჩმა.**

**— რა თქმა უნდა!**



**ივანიჩმა ხელი ჩაიქნია და შვილს უთხრა: ხომ ხედავ, ვირტუალურად სამი ათასი დოლარი გვაქვს, რეალურად კი ოჯახში ორი კახპა და ერთი მოხუცი პედერასტი გვყავს.**

* * *

**— რატომ აქვს როიალს მხოლოდ ორი პედალი? — ეკითხებიან სომხურ რადიოს.**

**— იმიტომ, რომ ყველა როიალს ავტომატური სიჩქარის კოლოფი აქვს.**

* * *

**— აბა, ახლა დაწვრილებით მოგვიყევით, როგორ ამოაცალეთ დაზარალებულს საფულე! — ეუბნება მოსამართლე ბრალდებულს.**

**— მასეთი კონსულტაცია ფასიანია, ბატონო მოსამართლევ.**

* * *

**— თქვენ რომ ჩემი მეუღლე იყოთ, აუცილებლად საწამლავს დაგალევინებდით! — ეუბნება ქალი კაცს.**

**— მე რომ თქვენი მეუღლე ვიყო, თვითონ დავლევდი საწამლავს, ქალბატონო!**

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.